ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 27 აგვისტო, 2021 №159 (8688) ფასი: 60 თეთრი

პანკისში დაკავებულები კორპუსის საქართველოში აფეთქებას აპირებდნენ?

სასამართლომ 5 პირს პატიმრობა შეუფარდა

გვ.5

„ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთზე უარესები არიან“

გვ.2

პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილის ტრიუკია რეფერენდუმი, ნაცმოძრაობა ურცხვად იტყუება“

„ოცნება“ მძიმე გადაწყვეტილების წინაშე დგას“

გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „არჩევნების გადადება დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებისთვის იქნება ქვეყანაში“

გვ.3

ვატო სურგულაძე: „რეგულაციები უნდა აღსრულდეს და მერე უნდა აეწყოს ნორმალური ჯაჭვი. პისიარტესტები და არა სწრაფი ტესტები, რომელიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. ოჯახის ექიმი ყოველდღე უნდა ურეკავდეს ადამიანს, რომელიც სახლში მკურნალობს“

„ქვეყნის ჩაკეტვა გამოსავალი არ არის, შესაძლოა, შიმშილის ბუნტი გამოიწვიოს“

„რუსეთი საქართველოში შემოდგომაზე ახალ დესტაბილიზაციას გეგმავს“

მირიან მირიანაშვილი: „საქართველოს ამომრჩევლის 90% მერყევია“

გვ.4

რა შემთხვევაში წავა რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით დათმობაზე?

გვ.4

თენგიზ დიხამინჯია: „თალიბანი ჩაისახა მაშინ, როდესაც პაკისტანს უნდოდა, ინდოეთისთვის დიდი პრობლემები შეექმნა... ეს არის დენთით სავსე კასრი“

ISSN 1987-9385

2 გეგუთის ციხეში კორონავირუსი 8 პატიმარს დაუდასტურდა

5 საბურთალოზე ბიძამ დისშვილი დაჭრა

5 ზურაბ ზვიადაური კლინიკაში გადაიყვანეს

6 თალიბანმა ავღანეთში მუსიკა აკრძალა

„ოცნება“ და ნაციონალები ერთმანეთზე უარესები არიან“

პაატა ზაქარეიშვილი: „სააკაშვილის ტრიუკია რეფერენდუმი, ნაცმოძრაობა ურცხვად იტყუება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი, კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– პატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის მოვლენებს? ოპოზიციის ერთმა ნაწილმა არჩევნების გადადება მოითხოვა, რასაც ხელისუფლების მხრიდან დიდი კრიტიკა მოჰყვა მათი მისამართით. რამდენად სწორია ხელისუფლების პოზიცია და რას ფიქრობთ ოპოზიციის ინიციატივაზე?

– რა თქმა უნდა, ეს ინიციატივა უნდა ყოფილიყო ხელისუფლებისაგან და მაშინ ეს იქნებოდა სწორი გადაწყვეტილება. ის, რომ ხელისუფლებას არ უნდა არჩევნების გადადება, გასაგებია. ისინი ჩქარობენ, უნდათ, რომ არჩევნებით ლეგიტიმაცია მოიპოვონ. მათთვის პირობითად კარგი ვითარებაა, რადგან გაცილებით უარესი ვითარება იქნება მერე. ოპოზიცია კი, ხელისუფლებისა არ იყოს, უკეთესად სულაც არ გამოიყურება. ოპოზიციას იმიტომ კი არ უნდა არჩევნების გადადება, რომ მოსახლეობა დაიცვას ვირუსისგან, არა, თავად არ არის კარგ სიტუაციაში და სწორედ იმიტომ. ორივე მხარისთვის, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის, პოლიტიკაა მნიშვნელოვანი და არა საზოგადოების ჯანმრთელობა.

– საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებენ?

– რა თქმა უნდა. ამიტომ არ არის ოპოზიცია გულწრფელი, ამიტომ პირადად მეც კი, რომელსაც მიმაჩნია, რომ უნდა გადაიდოს არჩევნები, ვფიქრობ, რომ ეს ინიციატივა უნდა მოდიოდეს ხელისუფლებისგან, ხოლო ამ ინიციატივაში ნამდვილად ვერ ვხედავ ოპოზიციის გულწრფელობას, რომ ისინი ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ. ერთიც და მეორეც გამოდის მხოლოდ საკუთარი ინტერესებიდან, ზრუნავს თავის თავზე და ფიქრობს პოლიტიკაზე. ხელისუფლებას უნდა გამარჯვება, ხოლო ოპოზიციამ, ხედავს რა, რომ თვითონ ვერ იმარჯვებს, საბაბად ხელზე დაიხვია ვირუსის გამაოგნებელი და კატასტროფული გავრცელება საქართველოში და ცდილობს, ამით დაუპირისპირდეს ხელისუფლებას. ჩემთვის ორივე ერთმანეთზე უარესია, ამიტომ სიმპათიას ვერ იმსახურებს ვერც ხელისუფლება და ვერც ოპოზიცია. ხელისუფლებამ საერთოდ მიუშვა სიტუაცია და ძალიან ცუდი პოზიცია აქვს არჩეული.

– რას გულისხმობთ?

– ის გვეუბნება, მე შემოვიტანე ვაქცინა, 4-5 ვარიანტი, აირჩიეთ, თავზე საყრელად გაქვთ. მართალია, ყველაზე გვიან შემოვიტანეთ, მაგრამ ხომ შემოვიტანეთ? ახლა ვინც არ აიცრებით, ჯანდაბამდე გზა გქონიათ, თქვენს თავს დააბრალეთო. „ოცნება“ გვეუბნება, მე ვატარებ არჩევნებს, ჩემს ხალხს მივიყვან, შენ თუ არ მოხვალ, ჩემთვის უკეთესიო.

– ანუ ადმინისტრაციული რესურსის მობილიზებას მოახდენს?

– დიახ და, ვინც არ მოხვალთ, თავში ქვა გიხლიათო. სამარცხვინო და საშინელი მდგომარეობაა. ჩვენს ქვეყანას დღეს პოლიტიკოსები არა ჰყავს. ამ სიტუაციაში პრემიერი და პრეზიდენტი სულ ტელევიზორში უნდა იყვნენ და ყო-

ველ დილას უნდა იწყებდნენ ასეთი განცხადებით: დღეს დაგვეღუპა ამდენი ადამიანი და, ხალხო, აუცილებლად აიცერით. არანაირი მოწოდება არაა ვაქცინაციასთან დაკავშირებით. ფეისბუქში ერთმანეთს ხოცავენ ვაქცერისტები და ანტივაქსერები. ხალხმა ლამისაა ერთმანეთი დახოცოს და ხელისუფლება არ ჩანს საერთოდ!

– რატომ არა აქვთ ვაქცინაციასთან დაკავშირებით აქტიური კამპანია, რა ხდება?

– მათ აქვთ წინასაარჩევნო კამპანია, სად სცალიათ ვაქცინაციისთვის. მათი მიზანი სწორედ ეს არის, რომ ხალხი არ მივიდეს არჩევნებზე. რაც უფრო მაღალი იქნება სიკვდილიანობა, მით მეტი ხალხი დაშინდება. აი, ასეთი ამორალური პოლიტიკა აქვთ არჩეული. არაფრად უღირთ ადამიანის სიცოცხლე. რაც მეტი ადამიანი მოკვდება, მათთვის უკეთესი. მათ ერთადერთი მიზანი ამოძრავებთ, რომ მეტი პანიკა შექმნან საზოგადოებაში. ამომრჩევლის პასიურობა ხომ ხელისუფლების სასიკეთოდ მუშაობს. საზოგადოება მართალიც იქნება, ალბათ, ამ სიტუაციაში არავინ ჩაიგდებს თავს საფრთხეში იმის გულისთვის, ამ არჩევნებს „ოცნება“ მოიგებს თუ ნაცმოძრაობა. ორივე ერთმანეთზე უარესი პოლიტიკური ძალაა.

– თანაც, ადგილობრივი არჩევნები არასდროს გამოირჩევა ამომრჩევლის დიდი აქტიურობით.

– რა თქმა უნდა. ამ არჩევნებს პოლიტიკური დატვირთვა არ აქვს. ნაცმოძრაობამ უცნაურად აიჩემა და გაიძახის, რეფერენდუმიო, მაშინ როცა არანაირი რეფერენდუმი არაა და ურცხვად იტყუებიან. უკვე აქედან ჩანს, რომ ისინი გულწრფელები არ არიან. ეს სააკაშვილის ტრიუკია. მან მოიფიქრა და ესენიც იმეორებენ, რეფერენდუმიო. არადა, ეს არის ადგილობრივი არჩევნები თავისი სპეციფიკით და, იმის მაგივრად, რომ ამაზე ილაპარაკონ, ხალხს ატყუებენ და სისულელეს გაიძახიან. ისევ და ისევ ბრძოლა მიმდინარეობს ხელისუფლებისათვის, იმის ნაცვლად, რომ ბრძოლა იყოს ადამიანებისათვის, ადგილზე მათთვის უკეთესი გარემოს შესაქმნელად. ასეთ ოპოზიციას, რომელსაც არ ესმის ამ არჩევნების არსი, მისი დემოკრატიული პრინციპები, როგორ შეიძლება, ასეთმა ოპოზიციამ გაიმარჯვოს და მიხედოს ქვეყანას. „ოცნებაზე“ საერთოდ აღარაფერს ვამბობ. დღეს ჩვენ ხელისუფლება არა გვყავს, სახელმწიფო არა გვაქვს, თვითმფრინავში ვსხედვართ, რომელიც მიფრინავს და მას პილოტი არ ჰყავს.

– პატონო პაატა, ოპოზიცია რატომღაც აგვიანებს წინასაარჩევნო კამპანიის დაწყებასო. რატომ, თავიდანვე ეს ჩანაფიქრი ჰქონდათ და ბოიკოტს გამოუცხადებენ ამ არჩევნებს?

– ოპოზიციამ დაიჯერა ეს 43% და ვერ დაიჯერა ის, რომ „ქართულმა ოცნებამ“ როგორც ერთხელ გადააგდო საქართველო, რატომღაც მეორედ ვერ გადააგდებდა თავის შარლ მიშელიანად და დასავლეთიანად? როგორც ჩანს, ოპოზიცია ამას არ ელოდა, რომ 43%-ზე უარს იტყოდა ხელისუფლება, მათ ამაზე ჰქონდათ ყველაფერი გათვლილი და ახლა დარჩნენ ხახამშრალი. არ იციან, რა გააკეთონ. ამიტომაც ახლა მოიგონეს რეფერენდუმის იდეა, თუ არადა, შესაძლოა, ბოიკოტზე წავიდნენ. ბოიკოტზე თუ წავლენ, ეს ვერ უშველის, რადგან მასში ყველამ უნდა მიიღოს მონაწილეობა. თუ სრულიად ოპოზიცია არ მონაწილეობს ბოიკოტში, მაშინ ამ ბოიკოტს ეფექტი არა აქვს. ხელისუფლება ამ არჩევნებში გაიმარჯვებს მშვიდად, წყნარად და, შესაბამისად, მსოფლიო გაამტყუნებს ოპოზიციას.

– მოვისმინეთ კიდეც პრემიერის განცხადება, ჩვენ ამ არჩევნებში გავიმარჯვებთ და შემდეგ სამი წელი არჩევნები აღარ იქნებაო. ასე იქნება?

– ასეც მიდიოდა სიტუაცია. მე არაერთხელ მითქვამს, რომ 2024 წლამდე ვეერ ვხედავდი ცვლილებებს. სამწუხაროდ, საერთოდ არ ჩანდა, რომ 2024 წლამდე ყოფილიყო საპარლამენტო არჩევნები. დღეს ეს კიდევ უფრო მეტად გამოიკვეთა და კიდევ მეტად დავრწმუნდი ჩემს პოზიციებში.

– რას იზამს ოპოზიცია, შევა წაგებულ თამაშში თუ ბოიკოტს გამოუცხადებს არჩევნებს?

– ორივე წაგებულია. ბოიკოტს გამოუცხადებს, საერთოდ წაგებული დარჩება, ხოლო თუ შევა წაგებულ თამაშში, ამით სახეს მაინც შეინარჩუნებს, რომ, ასე თუ ისე, პოლიტიკური ძალები არიან. თუ ბოიკოტს აცხადებ, მაშინ პოლიტიკური პარტიაც კი აღარ ხარ. ამიტომ ასე კიდევ უფრო მეტად დაიზარალებენ თავს. ბოიკოტზე წასვლით სამუდამოდ შეირცხვენენ თავს მთელ მსოფლიოში. ამას ევროპელები ვერ გაუგებენ. ისედაც დაბნეულია ევროპა და ვერ გაუგია, რა უნდა საქართველოს.

– პანდემიაზე ვსაუბრობდით და ამ კუთხით უმძიმესი ვითარებაა. საზოგადოების დიდი ნაწილი ხელისუფლებას ადანაშაულებს ამაში. სად იქნა დაშვებული შეცდომები? რატომ ვერ მართეს?

– მეც ასე მგონია, რომ სწორედ ხელისუფლებაა დამნაშავე. ვერ მართეს კი არა, არ მართეს! ეს არის ხელისუფლების ამორალური ლოგიკა. ხომ გახსოვთ მათი ასევე ამორალური ლოგიკა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს, ასეთივე ამორალურები არიან დღეს, ჩვენ არ გვჭირდება არჩევნებზე ბევრი ხალხიო და ამისთვის ყველაფერზე მიდიან. მასობრივად მიდის საზოგადოების დაშინება. კი, ვაქცინა შემოიტანეს, მაგრამ არავინ მოუწოდებს ხალხს აცრისკენ. ცდილობენ, ყველაფერი ისევ საზოგადოებას გადააბრალონ და ასეც ხდება. ვაქცინა არის და რატომ არ იცრებით? მხოლოდ ეს გვესმის მათი მხრიდან. ერთადერთი, ბიძინა კულუმბეგოვი ჩანს დღეს, რომელიც მართლა ექიმობს და სათანადო რეკომენდაციებს გასცემს. დანარჩენებმა კი მიიღეს შარშან საპატიო თბილისელების წოდება და აღარ აინტერესებთ, რა ხდება ქვეყანაში. ძალიან სამწუხარო ფაქტია, რომ პანდემია გამოყენებულია, როგორც პოლიტიკური იარაღი!

– პატონო პაატა, ბოლო პერიოდია, საყვედური ისმის ეკლესიის მისამართით, რატომ აქტიურად არ მოუწოდებენ მრევლს აცრისკენ. ჩვენს საზოგადოებაში მათ სიტყვას დიდი ძალა ექნებოდაო. რა ხდება, რატომ დუმს საპატრიარქო?

– სუფთა არაქრისტიანული მომენტებია. ღმერთმა შექმნა ადამიანი თავის ხატად და მსგავსად. ყველა მღვდელს ხომ ეს აქვს პირზე აკერებული! ჰოდა, ადამიანის გონება არის ღვთაებრივი, ხოლო ამ გონებამ მოგცა ვაქცინა! მთელი წლის განმავლობაში ექიმებმა, მეცნიერებმა თავიანთი ცოდნა დახარჯეს იმისათვის, რომ სიკვდილის საწინააღმდეგო იარაღი შეექმნათ. შენ გამოდიხარ და უნდობლობას უცხადებ?! მათი მოტივაციაა სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლა. მღვდლების დიდ ნაწილს ჯიბეში რევოლვერი უდევს, სიკვდილის მანქანები და ერთმანეთში განგსტერული გარჩევები აქვთ ხოლმე. ეშმაკის მანქანა ჯიბეში უდევთ და გონების მანქანაზე, რომელიც სიკვდილს ებრძვის, ამბობენ, საეჭვოა და ეშმაკისეულიაო! გამაოგნებელია, აბსურდულია მათი დამოკიდებულება. საერთოდ ამოვარდნილი არიან ქრისტეს ცნებიდან! შენმა გონებამ, რომელიც ღმერთმა მოგცა, მოგცა იმის საშუალება, რომ წამალი შეგექმნა და შენ ებრძვი ამას?! თუ ასე არ ენდობიან მედიცინას, მაშინ რატომ სვამენ წამლებს, რატომ დადიან საზღვარგარეთ ძვირადღირებულ გამოკვლევებზე?! რა, მედიცინა ხან კარგია და ხან ცუდი?! ეს აბსურდია! ეს არის შავბნელობა და მეტი არაფერი.

– მათი მოწოდება რომ ყოფილიყო, გაცილებით მეტი ადამიანი აიცრებოდა?

– რა თქმა უნდა. უდავოდ ასე იქნებოდა. ისინი უნდა გამოდიოდნენ და ამბობდნენ, რომ მედიცინა არის ღვთაებრივი მოვლენა. უნდა ვენდოთ ექიმებს. ექიმი, რომელიც ქმნის წამალს სიკვდილის წინააღმდეგ, სანდოა. აი, ასეთი მოწოდებები უნდა იყოს. რომის პაპმა მოუწოდა ყველას აცრისკენ. ბრიტანეთში მთელი ტაძრები ვაქცინაციის დარბაზებად გადააქციეს. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად მნიშვნელოვანი იქნებოდა, დღეს სამებაში ან სიონში რომ იყოს გახსნილი ვაქცინაციის დარბაზები და იქ ხალხს ცრიდნენ. ამ შემთხვევაში კიდევ უფრო მეტი ადამიანი აიცრებოდა. ჩვენ ეკლესიას არა აქვს ქრისტიანობის განცდა. ის მხოლოდ სარიტუალო სამსახურად გადაიქცა.

გეგუთის ციხეში კორონავირუსი 8 პატიმარს დაუდასტურდა

ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის თამარ გაბუნიას ინფორმაციით, გეგუთის პენიტენციარულ დაწესებულებაში კორონავირუსით ინფიცირების 8 შემთხვევა დადასტურდა.

მისივე განმარტებით, ისინი სამოქალაქო პირებისთვის განკუთვნილ სამედიცინო დაწესებულებაში არიან გადაყვანილები და მათზე ხორციელდება ინტენსიური მეთვალყურეობა.

ამასთანავე, როგორც გაბუნიამ ჟურნალისტებთან აღნიშნა, სხვა პენიტენციარულ დაწესებულებებში ვირუსის არსებობა არ დადასტურებულა. მინისტრის მოადგილემ ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ პენიტენციარულ დაწესებულებებში საკმაოდ აქტიურად მიმდინარეობს, როგორც თანამშრომლების, ასევე ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების ვაქცინაციის პროცესი.

– პენიტენციარულ სისტემაში ძალიან კარგად მიმდინარეობს ვაქცინაციის პროცესი. დიდი ნაწილი თანამშრომლების, ასევე ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების, არის ვაქცინირებული ორი დოზით. ამდენად, ინფექციის შიდა გავრცელების რისკი არის მინიმუმამდე შემცირებული. გეგუთის შემთხვევაში ნამდვილად დაფიქსირდა თავდაპირველად ერთი შემთხვევა. საკარანტინო სივრციდან გადაყვანილი პირი გაიტესტა რამდენიმეჯერ, თუმცა ორი ტესტირების შედეგად პასუხი არ დადასტურდა და მხოლოდ მესამე ტესტირების შემდეგ მოხდა დიაგნოზის დადასტურება და ის თანამესაკნეებთან ერთად უსიმპტომოა.

ყველა გადაყვანილია სამოქალაქო სექტორის შესაბამის სივრცეში. ეს არის მსუბუქი შემთხვევები, ყველა მათგანი არის შესაბამისი მეთვალყურეობის ქვეშ. რაც შეეხება გეგუთში მყოფ სხვა პირებს, ისინი გადავიდნენ აქტიური ტესტირების რეჟიმში იმისთვის, რომ მოხდეს მომდევნო 8-10 დღის განმავლობაში მათი ინტენსიური ტესტირება და აღმოჩნდეს ინფექცია, თუკი მოხდა გავრცელება.

ამ ეტაპზე გეგუთში 8 პირია ინფიცირებული, რომლებიც გადაყვანილი არიან სამოქალაქო სექტორში. სხვაგან არსად ინფექციის შემთხვევები დაფიქსირებული არ არის, – განაცხადა გაბუნიამ.

კორონავირუსით ცოლ-ქმარი გარდაიცვალა

ფაიზერითა და სინოფარმით თითოჯერ იყვნენ აცრილი

26 აგვისტოს კორონავირუსით ცოლ-ქმარი – გინეკოლოგ-რეპროდუქტოლოგი ბარბარე გორგოშიძე და ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ოთარ დავითაშვილი გარდაიცვალნენ.

წყვილი თბილისის ზღვის ჰოსპიტალში მკურნალობდა, დილას მამაკაცი გარდაიცვალა, რამდენიმე საათში კი მისი მეუღლეც დაიღუპა.

– ქალბატონ ბარბარეს კოვიდი 13 აგვისტოს, კლინიკაში გეგმური ტესტირების შემდეგ დაუდასტურდა. სახლში არ წავიდა, შვილებსა და შვილიშვილებს გაუფრთხილდა და კოვიდსასტუმროში გადავიდა. ორ დღეში ვირუსი მეუღლესაც აღმოაჩნდა. ძალიან ნერვიულობდა ქმარზე, რადგან ბატონ ოთარს დიაბეტი ჰქონდა. მეექვსე დღეს ქალბატონი ბარბარე რომ გადაიყვანეს გეგმურ კვლევებზე, უკვე ფილტვის სერიოზული დაზიანება ჰქონდა და კლინიკაში დააწვინეს. მას შემდეგ მისი მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდებოდა, – უთხრა „ამბებს“ ოჯახის ახლობელმა.

– ბატონი ოთარი შედარებით უკეთ იყო, მაგრამ, იმდენად უყვარდათ ერთმანეთი და ისეთი საოცარი წყვილი იყო, სავარაუდოდ, მეუღლის მდგომარეობა ძალიან განიცადა და ინერვიულა. ქალბატონი ბარბარე იმდენად ხალისიანი ადამიანი იყო, რომ თავად ამხნევებდა სხვებს. თანამშრომლებს კოვიდსასტუმროდან საოცარი ვიდეო გამოგვიგზავნა, შემდეგ სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა, – თქვა ქართულ-გერმანული რეპროდუქციული მედიცინის ცენტრის პიარსამსახურის ხელმძღვანელმა ეკა ნონიაშვილმა. „ამბებს“ ოჯახის ახლობელმა დაუდასტურა, რომ ბარბარე გორგოშიძე ერთჯერადად იყო აცრილი ფაიზერის ვაქცინით, მისი მეუღლე კი სინოფარმის ერთი დოზით იყო აცრილი.

ამბები

რატომ იზრდება მისო-ების მოგება რეკორდულად

ასოციაციის განმარტება

მიკროსაფინანსო ორგანიზაციები რეკორდულ მოგებაზე არიან. თუ 2020 წლის მე-2 კვარტალი მისო-ებმა 29 მლნ ლარის ზარალით დაასრულეს, 2021 წლის ანალოგიურ პერიოდში 58-მილიონიან მოგებაზე გავიდნენ.

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ასოციაციის თავმჯდომარე ბესო შენგელია ფაქტს სექტორის მრავალფეროვნებით ხსნის.

მისი თქმით, მოგება ძირითადად იმ ობიექტების ხარჯზეა გაზრდილი, რომლებიც სალომბარდე საქმიანობას ეწევიან.

– მომგებიანობასთან დაკავშირებით ხშირად ხდება არასწორი ინტერპრეტაცია. მიკროსაფინანსო სფეროში ორგანიზაციების ძალიან დიდი სპექტრია წარმოდგენილი, სხვადასხვა ბიზნეს-პროფილით და ა.შ., რომელსაც, უბრალოდ, ჰქვია მისო, თუმცა აქტივობით, კლიენტურის სპეციფიკითა და ბიზნესმოდელით ძალიან დიდი სხვაობაა.

ასე რომ, ერთმა დიდმა ლომბარდული ტიპის დაწესებულებამ რომ დაწეროს დიდი მოგება, ეს აისახება ზოგადად სექტორის ზრდის რიცხვებზე, მაგრამ არ ნიშნავს, რომ ჩვენი სექტორი გაიზარდა. ძირითადი ზრდა, რაც მოგახსენეთ, ამ სეგმენტზე მოდის, თუმცა მას შემდეგ, რაც ლოკდაუნები აღარ არის და თავისუფლად ფუნქციონირების საშუალება მოგვეცა, უშუალოდ ჩვენს სექტორშიც ნამდვილად არის ზრდა და პოზიტიური ტენდენცია ამ მხრივ შესამჩნევია.

რაც შეეხება თანამშრომლების რაოდენობის ზრდას, ვფიქრობ, ეს კოვიდთან დაკავშირებული რეგულაციების გამკაცრებითაა გამოწვეული. მეტი რეგულაცია ბიზნესისთვის ყოველთვის მეტ ხარჯსა და მეტ პერსონალს საჭიროებს, – განაცხადა ბესო შენგელიამ „ბიზნესპრესნიუსთან“.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ოცნება“ მძიმე გადაწყვეტილების წინაშე დგას“

ლევან ალაფიშვილი: „არჩევნების გადადება დამოკიდებულია ეპიდსიტუაციაზე, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებისთვის იქნება ქვეყანაში“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო ლევან, ღარიბაშვილმა გახარიას „მაზაკვალი“ მოლალატე უწოდა. ამით ხელს ხომ არ უწყობს გახარიას დისტანცირებას, რომ ის არ არის „ქართული ოცნება 2“?

– სიმართლე გითხრათ, „ქართული ოცნების“ საარჩევნო კამპანია პრემიერის ხელმძღვანელობით ძალიან შორს არის იმისგან, რაც უნდა იყოს. ცოტა უხერხულია, როდესაც ადამიანი არათუ გუნდის რიგითი წევრი, ლიდერი იყო და მას ექვემდებარებოდი, სულ რამდენიმე თვეში ასე ლანძღო, ძალიან სასაცილოა.

რა შეიძლება იყოს ამის მიზანი, ვერ გეტყვით. შეიძლება ყველას ლანძღვა ერთდროულად, მაგრამ ეს არ არის საუკეთესო ტაქტიკა შედეგის მისაღწევად და ადამიანების იმაში დასარწმუნებლად, რომ მხოლოდ შენ ხარ კარგი.

– თუ გახარიამ „ქართული ოცნებიდან“ სერიოზული რაოდენობის მხარდამჭერების წაყვანა შეძლო?

– ეს პროცესი ჯერ კიდევ საპრეზიდენტო არჩევნებზე დაიწყო, როდესაც „ქართული ოცნება“ პირველ ტურში დამარცხდა და მეორე ტური გახდა საჭირო. 2018 წელს დაიწყო „ქართულ ოცნებაში“ თაობათა ცვლა და შიდაპარტიული დაპირისპირება, რომელიც მხარდამჭერების დონეზეც უკვე პიკში იყო. ე.წ. ძველების განაწყენება „ქართულ ოცნებას“ ლამის არჩევნების წაგების ფასად დაუჯდა. ამის შემდეგ იმ ადამიანების უკან შემობრუნება „ქართული ოცნების“ მთავარი მიზანია, რადგან მმართველი ძალა ვერ ახერხებს ახალი მხარდამჭერების შემოერთებას, მიმხრობას და ცდილობს დაკარგულის დაბრუნებას. სწორედ ამით აიხსნება კობახიძისა და მისი გუნდის კულისებს მიღმა გადამალვა. წარმოგიდგენიათ, პარტიის თავმჯდომარე პარტიის საარჩევნო კამპანიაში არ იყოს ჩართული?!

მეორე: ასევე იკითხება ხელისუფლების კიდევ ერთი ამოცანა: საკუთარი მხარდამჭერების მობილიზება და გამოყვანა არჩევნებზე დანარჩენების, ე.წ. შუაში მყოფი ამომრჩევლის სახლში დატოვება, რომ მათ ხმა გახარიას არ მისცენ.

– ქვეყანაში არსებული ეპიდსიტუაციიდან გამომდინარე, სახალხო დამცველის ინიციატივას არჩევნების შესაძლო გადადებაზე ირაკლი კობახიძის გამოჩენა მოჰყვა. შეიძლება, ამაზე წავიდეს „ოცნება“?

– როდის იყო უფრო მძიმე ეპიდსიტუაცია, 2020 წლის გაზაფხულზე, როდესაც საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა თუ ახლა?! სამედიცინო სექტორი როდის იყო უფრო მძიმე მდგომარეობაში, დღეს თუ მაშინ?! ასევე გასათვალისწინებელია შარშანდელი საპარლამენტო არჩევნების დროს არსებული მდგომარეობა და შემდეგ ის, თუ რა შედეგები მოჰყვა მას ეპიდთვალსაზრისით. ამდენად, არჩევნების გადადება-არგადადების თაობაზე მსჯელობის საფუძველი არსებობს.

„ქართულმა ოცნებამ“, სამწუხაროდ, სახალხო დამცველის ეს უწყინარი ინიციატივა (გადადებაზე ვიმსჯელოთო – კი არ გადადო!) წინასაარჩევნო კუნთების თამაშისა და მოწინააღმდეგეთა გაშავებისთვის გამოიყენა.

– თუ ეპიდსიტუაცია უმართავი გახდება და გარდაცვლილთა რაოდენობა ასეთი კატასტროფული იქნება, შეძლებს არჩევნების ჩატარებას?

– სამწუხაროდ, სექტემბრისთვის, ალბათობის მაღალი ხარისხით, კიდევ უფრო დამძიმდება მდგომარეობა. როგორც კლინიცისტები ვარაუდობენ, გარდაცვლილთა რაოდენობა ვერ დაიკლებს და შეიძლება, მართლაც მოუწიოს ხელისუფლებას ამ მძიმე ნაბიჯის გადადგმა და ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება.

ეპიდსიტუაციის დამძიმებასთან ერთად, ბუნებრივია, უკმაყოფილება გაიზრდება. ეს თავისთავად გამოიწვევს ელექტორალური მხარდაჭერის კლებას ხელისუფლების მისამართით. ეს ყველაფერი, ცხადია, უკვალოდ არ გაქრება და „ოცნების“ რეიტინგზე აისახება.

– ამ პირობებში რა უფრო შეიძლება აწყობდეს ხელისუფლებას, არჩევნების გადადება თუ, პირიქით, მიუხედავად ყველაფრისა, არჩევნებზე წასვლა?

– ეს ყველაფერი დამოკიდებული იქნება ეპიდსიტუაციაზე, რომელიც სექტემბრის შუა რიცხვებისთვის იქნება ქვეყანაში. კლინიცისტმა ივანე ჩხაიძემ, რომელიც ასევე საკოორდინაციო საბჭოს წევრია, უკვე განაცხადა, რომ, არსებული ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით, არჩევნების ჩატარება მისთვის მიუღებელია. სავარაუდოდ, კლინიცისტების დიდი ნაწილი ხელისუფლებას არჩევნების ჩატარების რეკომენდაციას არ უწევს. როგორც ჩანს, საკოორდინაციო საბჭოზეც არ არის ერთგვაროვანი პოზიციები არჩევნების გადადება-არგადადების საკითხზე. მეტიც, იმ დახურულ სხდომებზე, სავარაუდოა, რომ ჯანდაცვის სპეციალისტები დღესვე უფრო მკაცრ მიდგომას უჭერენ მხარს.

ყველა შემთხვევაში ხელისუფლებას ცუდსა და უარესს შორის მოუწევს არჩევანის გაკეთება. მარტივად მისაღები გადაწყვეტილების წინაშე ნამდვილად არ დგას „ქართული ოცნება“. ის საკუთარი მძიმე შეცდომების მძევალი აღმოჩნდა, როდესაც გაზაფხულზე საერთოდ გააუქმა ყველა რეგულაცია და ამით ცდილობდნენ ადამიანების გულის მოგებას. ახლა ამას შეიძლება უკურეაქცია მოჰყვეს, იმ კატასტროფული მაჩვენებლებიდან გამომდინარე, რომლებიც ყოველდღიურად გვაქვს. ეს უნდა გაეთვალათ.

– კონსტიტუცია არეგულირებს არჩევნების გადადების საკითხს. ხელისუფლებას პირდაპირ შეუძლია, არჩევნების გადადოს თუ საგანგებო მდგომარეობა უნდა გამოაცხადოს?

– კონსტიტუციაში ეს ყველაფერი გაწერილია. ქვეყანაში არჩევნები ორ შემთხვევაში არ ტარდება – საგანგებო და საომარი მდგომარეობის დროს. ხელისუფლების ორივე შტო აღნიშნულ გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებს.

„ქვეყნის ჩაკეტვა გამოსავალი არ არის, შესაძლოა, შიმშილის ბუნტი გამოიწვიოს“

ვატო სურგულაძე: „რეგულაციები უნდა აღსრულდეს და მერე უნდა აეწყოს ნორმალური ჯაჭვი. პისიარტესტები და არა სწრაფი ტესტები, რომელიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. ოჯახის ექიმი ყოველდღე უნდა ურეკავდეს ადამიანს, რომელიც სახლში მკურნალობს“

იაგო ნაცვლიშვილი

სულ უფრო და უფრო მძიმდება ეპიდემიოლოგიური ვითარება საქართველოში, შესაბამისად, რეგულაციებიც მკაცრდება, თუმცა მათი აღსრულება რიგ შემთხვევებში არცთუ მაღალი ხარისხისაა. გუშინწინ გარდაცვალების უკვე 79 შემთხვევა გამოვლინდა, პროგნოზიც არ იძლევა დამშვიდების შესაძლებლობას.

რას ვერ აკეთებს სწორად ხელისუფლება და რა უნდა გაკეთდეს ვითარების დასტაბილურების მიზნით? – ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ლელოს“ წევრი, ჯანდაცვის სპეციალისტი **ვატო სურგულაძე** საუბრობს.

– გუშინ 79 ადამიანი გარდაიცვალა. სადამდე შეიძლება, გაგრძელდეს ზრდა? ფაქტია, რომ ვერ უშველა იმ შეზღუდვებმა, რომლებიც დააწესა მთავრობამ და კიდევ რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ოდნავ მაინც დასტაბილურდეს ვითარება?

– თქვენ დაინახეთ, რომ რამე გაკეთდა? არაფერი არ გაკეთებულა, გარდა იმ სიტყვებისა, რომ ჩვენ უნდა გავამკაცროთ რეგულაციები. რეალურად რეგულაციების მართვა და აღსრულება არ ხდება. ეს სულელური გადაწყვეტილებები, როგორიც იყო ივნისის დასაწყისში ნიღბების მოხსნა, მერე შემოღება 5 ადამიანის შეკრებაზე, არაეფექტური იყო. ტრანსპორტი ყველაზე ნაკლები პრობლემაა, მიწისზედა ტრანსპორტზე მაქვს საუბარი, თორემ მეტრო ცოტა პრობლემაა.

გუშინწინ რომ გოგონა გარდაიცვალა, იცით, რატომ დაემართა კოვიდი? იმიტომ, რომ ქორწილში იყო. არავინ არ აკონტროლებს მას. ჩვენ გვჭირდება ძალიან მარტივი რაღაცების გაკონტროლება, ოღონდ ეს უნდა ეხებოდეს აბსოლუტურად ყველას, ამხანაგ პრემიერ-მინისტრსაც და ამხანაგ მინისტრსაც. ყველამ უნდა დავიცვათ წესები – ნიღბის ტარება, დისტანციის დაცვა და მასობრივი შეკრებების აკრძალვა. პრემიერი პირველი არღვევს, დღესაც მუშაობს თბილისში ღამის კლუბები. რატომ არ აკონტროლებენ მათ? გოგონა რომ დაინფიცირდა ქორწილში და ბავშვი ობლად დატოვეს, ნუთუ არავინ იცოდა იმ ქორწილის შესახებ?! არც პოლიციაა ადგილზე, არც რწმუნებული, არც გამგებელი...

– ვხედავთ იმასაც, რომ პოლიცია უყურებს, როგორ დადიან ადამიანები პირბადის გარეშე ქუჩაში, მათ შორის, ჯგუფებად, მაგრამ რეაგირება არ აქვს.

– დიახ, საქმეც ეგ არის, რომ რეგულაციები რამდენიც გინდა მიიღე და გაამკაცრე. რეგულაციების აღსრულება თუ არ ხდება, რა აზრი აქვს?! ტრანსპორტის ჩაკეტვა არასწორი

იყო. თუ იკეტება, ის ბოლო რიგში უნდა ჩაიკეტოს.

– სხვათა შორის, მაგალითად, ავტობუსი კონტროლდებოდა.

– მეტროში ცოტა „ბალაგანი“ გვქონდა, მაგრამ ავტობუსში მინახავს, რომ კონტროლიორიც აკონტროლებს და მძღოლსაც არ დაუძრავს ავტობუსი, სანამ ყველა არ იკეთებს ნიღაბს, თავად ხალხიც აკონტროლებდა. ტრანსპორტში ყველაზე ნაკლებად გადადის, რადგან ნიღაბსაც იკეთებენ და, როგორც წესი, 15 წუთზე მეტი ხნით არ აქვთ ურთიერთობა ადამიანებს. საქალაქთაშორისო ტრანსპორტი დატოვეს და იქ რა, ინფექცია არ გადაედებათ?! სხვათა შორის, ის უფრო სახიფათოა. ეს მთავრობა არაფერს აკეთებს, თავად არღვევს ყველანაირ წესს და გასაგებია, რომ ადამიანები იტყვიან, იმისთვის თუ შეიძლება, ჩემთვის რატომ არ შეიძლებაო?! ერთი და იგივე ხალხი მართავს, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ ერთი „ბოლი“ პრემიერი წავიდა და მეორე „ბოლი“ მოვიდა. მართვა ვერ ისწავლეს.

– თანმიმდევრულობასთან დაკავშირებით გაქვთ პრეტენზიები? იმაზე, რომ პრემიერი ჯარიმებს ხსნის; თავად დადის ხალხმრავალ შეკრებებზე; ჯანდაცვის მინისტრს კრიტიკა და დღეები დასჭირდა ვაქცინაციისთვის და ა.შ?

– რა თქმა უნდა. ყველაფერთან. არაფერი არ კეთდება და მარტო სიტყვიერი საუბარია, გავამკაცრებთ, გავამკაცრებთო. არაფერი არ კონტროლდება. ყველა არღვევს წესებს მთავრობიდან და ე.წ. მმართველი პარტიის წარმომადგენლებიდან... თუ ჩვენ დავიცავთ რეგულაციებს მკაცრად, შედეგი ექნება. არ შეიძლებოდა ჯარიმების ჩამოწერა, შეიძლებოდა, გაგვენახევრებინა, მაგრამ მთლიანად მოხსნა არასწორია. გასაგებია, რომ გაგვიჭირდა მართვა და კიდევ გაგვიჭირდება. ვაქცინაციაზე აღარაფერს ვამბობ, რომელიც ჩავარდნილია. მაგალითად, 26.000 ვაქცინა გაკეთდა გუშინწინ, მაშინ როდესაც შედეგის მისაღწევად 40.000 მაინც უნდა გაკეთდეს ნოემბრამდე.

– უშუალოდ სამედიცინო მიმართულებას რაც შეეხება, რაში ხედავთ გამოსავალს?

– არაფერში. ეს რეგულაციები უნდა აღსრულდეს და მერე უნდა აეწყოს ნორმალური ჯაჭვი. დიაგნოსტიკა და პისიარტესტები და არა სწრაფი ტესტები, რომელიც ძალიან ბევრ შეცდომას უშვებს. ბევრი წერტილი უნდა გაიხსნას დიაგნოსტიკისათვის. ოჯახის ექიმი ყოველდღე უნდა ურეკავდეს ადამიანს, რომელიც სახლში მკურნალობს და არა ორი კვირაში ერთხელ. ამით უნდა მოხდეს ის, რომ საჭიროების შემთხვევაში ავადმყოფი საავადმყოფოში დროულად გადაიყვანონ და დროული მკურნალობა დაუწყონ.

– ახსენეთ ოჯახის ექიმი. მაგალითად, ჩემს მეგობარს ჰქონდა კოვიდი და, როცა გამოუვლინდა, უთხრეს, რომ ოჯახის ექიმი 5 დღე ვერ დაურეკავდა.

– ის ხომ პაციენტია და ექიმი არ არის. ხომ შეიძლებოდა, მას ამ 5 დღეში თავისი მდგომარეობა ობიექტურად ვერ შეეფასებინა?! მერე მოხდებოდა გართულება. ყოველდღე უნდა რეკავდეს ექიმი და ამის გეგმა გვაქვს დადებული „ლელოს“, როგორ.

– ხელისუფლებიდან გვეუბნებიან, რესურსი არ გვაქვსო და როგორ?

– რა რესურსი არ აქვთ? 5 სიტყვაში სამს იტყუებიან პრემიერიც და ჯანდაცვის მინისტრიც. ეგენი რასაც ამბობენ, თქვენ თუ მაგის გჯერათ, მაშინ ჩემთან ინტერვიუს აზრი არ აქვს. თუ მაგათი გჯერათ, მაშინ შევწყვიტოთ ინტერვიუ.

– ექიმთა ცნობილი სამეულიც იტყუება?

– მათ შორის ექიმთა სამეულიც. გაიძახიან, უნდა გავამკაცროთ რეგულაციებიო. გამკაცრე. შეიძლება, სამი თვე ერთსა და იმავეზე საუბრობდე? სამედიცინო დარგის მენეჯმენტის პრობლემაც არის და მართვის პრობლემაც. ჟანგბადი გვაკლია. ნუ იყიდის პრემიერი ბოლო მოდელის აუდის მარკის მანქანას, იყიდოს ჟანგბადის რამდენიმე ქარხანა და დავარიგოთ ჟანგბადი. აღარ შეიძლება ჟანგბადის ბალონებით მუშაობა. არსებობს ჟანგბადის გენერატორები და ის დავდგათ. რა პრობლემაა? შეუკვეთონ და ერთ კვირაში ჩამოვა. ადამიანის სიცოცხლეზეა საუბარი და ამაზე მნიშვნელოვანი არაფერი არ არის.

– როგორც ჩანს, ხელისუფლებისთვის არჩევნები უფრო მნიშვნელოვანია და არ აპირებს გადადებას.

– ესაა საქმე. არსებობენ პოლიტიკანები და სახელმწიფო მოღვაწეები. სახელმწიფო მოღვაწე ფიქრობს მომავალ თაობაზე, ხოლო პოლიტიკანები ანუ პოლიტიკოსები – მომავალ არჩევნებზე.

– თქვენი, როგორც სპეციალისტის შეფასება როგორია, რა რისკებს შექმნის არჩევნები კოვიდის გავრცელებასთან მიმართებით?

– ამათგან ყველაფერი მოსალოდნელია, მაგრამ კარგად ორგანიზების შემთხვევაში ამას დიდი საფრთხე არ ექნება, თუ ყველა დავიცავთ, თუ იქნება პოლიციის მობილიზება არა იმისათვის, რომ ოპოზიციის ხალხი დაჩაგრონ, არამედ იმისათვის, წესები დავიცვათ. მაგრამ, იცით, რაშია საქმე? სრული ინფორმაცია გაგვაჩნია, ყოველდღიურად რამდენია გამოვლენილი სწრაფი ტესტით და რამდენი – პისიარით; რამდენი ადამიანი გარდაიცვალა, რომელიც ხელოვნურ სუნთქვაზე იყო შეერთებული? არ გვაქვს სიღრმისეული ინფორმაცია და ამის გარეშე ანალიზი შეუძლებელია.

– დამაიმედებელი პროგნოზის გაკეთება თუ შეგიძლიათ?

– ამას სჭირდება პოლიტიკური ნება და მეტი არაფერი. თუ იქნება პოლიტიკური ნება, სწრაფად გამოვალთ ამ ვითარებიდან. ცოტა ხანი გვამართვინონ ეს ქვეყანა და ვიცით, რასაც ვიზამთ, თვე-ნახევარში შეეტყობა შედეგი.

– ჩაკეტვა გამოსავალი არ არის?

– არა, ხალხი ისედაც გაღარიბებულია. მაგარი მაშინ ხარ, როდესაც კლინიკურ პროცესსაც მართავ და ეკონომიკასაც არ ჩააგდებ. ეს არის ნამდვილი მართვა. ბებიები და ბაბუები გარეთ რომ დადიან და მზესუმზირას ყიდიან, იმათ რა ქნან ჩაკეტვის შემდეგ?! ფასები გაორმაგებულია და ჩაკეტვამ, შესაძლოა, შიმშილის ბუნტი გამოიწვიოს. ჩვენ თუ რეგულაციებს აღვასრულებთ, ძალიან სწრაფად მივიღებთ შედეგს. მთავარი აღსრულებაა მედიცინაშიც და პროცესის მართვაშიც. მსოფლიო მოერია, ჩვენ გარდა, ყველა. კი, ავადდება ხალხი, მაგრამ არ კვდება და ეს არის მნიშვნელოვანი.

„რუსეთი საქართველოში შემოდგომაზე ახალ დესტაბილიზაციას გეგმავს“

მირიან მირიანაშვილი: „საქართველოს ამომრჩევლის 90% მერყევია“

მარიამ მჭედლიშვილი

რა დანიშნულება აქვს 2 ოქტომბერს დაგეგმილი ადგილობრივი არჩევნების გადატანაზე ხმაურს? რის გაგებას ცდილობენ პოლიტიკოსები? რა როლი აქვს აშშ-ის ელჩს სტაბილურობაში? რა მორიგი ზრახვები აქვს კრემლს? ვისთან იქმნება რევოლუციური შტაბი? ვინ ვისი დავალებით გაერთიანდა ანტივაქსერების აქტივში? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პოლიტიკური გაერთიანება „ერის“ თავმჯდომარეს, ყოფილ დეპუტატს მირიან მირიანაშვილს.

– საზოგადოებისა და პოლიტიკური წრეების წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველი აქტიურად განიხილავენ 2 ოქტომბერს დანიშნული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შესაძლო გადადების საკითხს ეპიდემიოლოგიის გამო. თუ განცხადებებსა და კომენტარებს შევაჯამებთ, გამოვა, რომ მმართველი პარტია ამ საკითხს ნაციონალური მოძრაობის პროვოკაციას უკავშირებს, ნაცმოძრაობა კი – „ქართული ოცნების“ ინტერესებს. თქვენ რა მოსაზრება და ინფორმაცია გაქვთ?

– ეს დისკუსია ცარიელ ადგილზე არ დაწყებული. ხალხის ჯანმრთელობა აქ არსებითი არ არის. ბოლო ორი კვირაა, სოციალური სივრცე და ექსპერტები მსჯელობენ იმაზე, რომ შესაძლოა, არჩევნები გადაიდოს. ეს თუ მოხდა, ბუნებრივია, მომავალ წელს ვეღარ გაიმართება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ის ფაქტი, რომ ამ თემაზე ამდენი საუბარია, ამტკიცებს ამ დისკუსიის ორგანიზებულობასა და მართულობას. სახალხო დამცველიც არ არის შორს ხელისუფლების პოლიტიკური სისტემიდან. ნაცქოცური ხმაურის მიზანი ერთადერთია – გაიგონ აშშ-ის ელჩის პოზიცია. კელი დეგნანის მიერ ამ თემაზე გაკეთებული ნებისმიერი მინიშნება და კომენტარი საქართველოს ნებისმიერ კუთხეში (ელჩი ხშირად ხვდება სოციუმის წარმომადგენლებს) იქნებოდა პასუხი იმაზე, თუ როგორ უყურებს აშშ-ის პოლიტიკური ელიტა ამ საკითხს. თუ ელჩი ამას დადებითად უყურებს, დიდი შანსია, რომ არჩევნები გადაიდოს.

– პრემიერმა ღარიბაშვილმა აშშ-ის საელჩო და შარლ მიშელი ოპოზიციის პარლამენტში შეყვანის კონტექსტში ახსენა. მისი თქმით, ეს „მავნებლები“ მათი მონაწილეობით შეიყვანეს პარლამენტში. რას ნიშნავს ეს გამონათქვამი?

– იმას, რომ ირაკლი ღარიბაშვილი არაინფორმირებულია. აშშ-ის საელჩო და პირადად ელჩი, ამერიკული ელიტა არ უჭერენ მხარს აქედან არც ერთ პარტიას. ამერიკელებს „ოცნებაც“ და ნაცმოძრაობაც მიაჩნიათ რუსული გავლენების გამტარებლებად. აშშ ევროკავშირთან ერთად პროცესში ჩაერია იმიტომ, რომ არ დაეშვა დესტაბილიზაციის გაგრძელება და გაღრმავება. მოგეხსენებათ, რომ ეს ორი ძალა 2020 წლის შემდეგ აწყობდა რევოლუციას, წელს გაზაფხულზე კი – გახარიასთან ერთად მასობრივ არეულობას. აშშ-ის საელჩომ ამას წინააღმდეგობა გაუწია. კელი დეგნანის დამსახურებით პოლიტიკური კოლაფსი ავიცილეთ. პარლამენტის მუშაობა აუცილებელი იყო სტაბილურობისათვის. აშშ-ის ელჩის აქტიურმა პოზიციამ გადაგვარჩინა. მან უახლოეს მომავალშიც ამგვარი და ამაზე უფრო აქტიური როლი უნდა შეასრულოს. ამაზეა დამოკიდებული საქართველოს პოლიტიკური მომავალი.

– იმის თქმა გინდათ, რომ საქართველოში მორიგი რევოლუცია იგეგმება?

– სწორედ ასეა. ბიძინა ივანიშვილს, გავლენებისა და ფულის მიუხედავად, არ შესწევს ძალა, შეინარჩუნოს ან დაამყაროს პოლიტიკური სტაბილურობა. საქართველოში სტაბილურობის გარანტორი მხოლოდ აშშ-ის ელჩია, რომელიც მოქმედებს აშშ-ის პოლიტიკური ელიტისა და ოფიციალური წრეების დავალებების შესაბამისად. თუ ელჩმა ნეიტრალური პოზიცია დაიკავა, სერიოზული პოლიტიკური კრიზისი გარდაუვალია.

– როგორი პოზიცია უნდა დაიკავოს ელჩმა?

– აქტიური, იმაზე უფრო ქმედითი, ვიდრე წინა რევოლუციებისა და ქაოსის აღკვეთის დროს. რუსეთი დესტაბილიზაციის მომწყობია. საქართველოს ბედი და პოლიტიკური მომავალი ძალიან აღელვებთ რეგიონის ქვეყნებს – თურქეთს, აზერბაიჯანს, სომხეთს.



– რევოლუცია არჩევნების შემდეგ იგეგმება?

– დიახ. გნებავთ, რევოლუცია დაარქვით რუსეთის გეგმებს, გნებავთ – ქაოსი და დესტაბილიზაცია. მთავარი ინტრიგა აშშ-ის ელჩის პოზიციაში მდგომარეობს. მმართველ პარტიასა და ნაციონალურ მოძრაობაში გულის ფანცქალით ელიან, რას იტყვის და მოიმოქმედებს კელი დეგნანი. მაქვს ინფორმაცია, რომ 15 სექტემბრიდან სურკოვთან იქმნება რევოლუციური შტაბი.

– სურკოვს ოფიციალური თანამდებობა აღარ აქვს, საქართველოში მოსაწყობი რევოლუციის შტაბი კი მასთან იქმნება?

– სურკოვი დაახლოებით ორი წელიწადია, აღარ არის პუტინის თანაშემწე. მას არ უკავია ოფიციალური პოსტი კრემლში, მაგრამ შენარჩუნებული აქვს კაბინეტი. ამერიკელების დასანახად რუსებმა სურკოვი თანამდებობებს ჩამოაცილეს, სინამდვილეში კი მას ფუნქციები დაუტოვეს. სურკოვს აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, დონბასიც ისევ აბარია. საქართველოს პოლიტიკურ სივრცეს იგი ადრეც არაოფიციალურად კურირებდა და ახლაც კურირებს. შარშან, საქართველოს არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, სურკოვთან ჩამოყალიბდა რევოლუციური შტაბი. ახლაც ამგვარი შტაბი იქმნება. რუსების სიახლე ის არის, რომ საქართველოს ამჟამინდელ რევოლუციაში დიდი ადგილი ეთმობა ანტივაქსერულ მოძრაობას.

– ლგბტ-თემატიკას აღარ ეთმობა ადგილი?

– ანტივაქსერულმა თემამ ჩაანაცვლა ლგბტ-საკითხები. რუსეთს საქართველოში ჰყავს სპეცკონტინგენტი – ასე, 600-700 პირი. ეს ხალხი ჯერ ნამახვანჰესის საწინააღმდეგო აქციებზე იყო გადასროლილი, შემდეგ – ლგბტ-პირების წინააღმდეგ კამპანიაზე, ახლა იგივე სპეცკონტინგენტი აქტიურობს აცრების წინააღმდეგ. მანამდე რუსეთი იძლეოდა დავალებებს, გამოსულიყვნენ სოროსის წინააღმდეგ. იმავე ცენტრიდან სპეცკონტინგენტს ავალებენ, ებრძოლონ ახალ ტექნოლოგიებს (ანტენებს), ბილ გეიტსსა და სხვა. სპეცკონტინგენტი ანტივაქსერულ მოძრაობაში მოხერხებულად იყენებს ფსიქიკური პრობლემების მქონე ადამიანების მძლავრ ენერგეტიკას. ხდება სუსტი ფსიქიკის მქონე პირებით მანიპულირება. ამ ადამიანებს დიდი ისტერიკული ომი აქვთ გაჩაღებული სოციალურ ქსელებში. ასე ამზადებენ რუსები რევოლუციას.

– მმართველი პარტიის მიერ ქუთაისში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევით, „ოცნებას“ 44%-ზე მეტი აქვს, ნაცმოძრაობას – 32%-ზე მეტი. მათ ჩამორჩებიან „პატრიოტთა ალიანსი“ და გახარიას „საქართველოსთვის“.

– ესეც აშშ-ისთვის საჩვენებელი ციფრებია. ტრადიციულ დემოკრატებში ამომრჩეველი ჩამოყალიბებულია. საქართველოში სხვა მდგომარეობაა. აშშ-ში, მაგალითად, ამომრჩევლის 90% ჩამოყალიბებულია, დაახლოებით 5 ან 7% – მერყევი. საქართველოს ამომრჩევლის 90%, რომგორც წესი, მერყევია. ადამიანები საქართველოში ყალიბდებიან არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე. ასე რომ, ეს რიცხვები არაფრის დამადასტურებელი არ არის. ეს პოლიტიკოსები ლამის ყველაფერს აშშ-ის ელჩის გასაგონად და დასანახად აკეთებენ. მათ მხოლოდ აშშ-ის შიში და რიდი აქვთ.

რა შემთხვევაში წავა რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით დათმობაზე?

თენგიზ დიხამინჯია: „თალიბანი ჩაისახა მაშინ, როდესაც პაკისტანს უნდოდა, ინდოეთისთვის დიდი პრობლემები შეექმნა... ეს არის დენთით სავსე კასრი“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

– ბატონო თენგიზ, ავღანეთში ხელისუფლება ხელში ჩაიგდო ტერორისტულმა ორგანიზაცია „თალიბანმა“. ამერიკის გასვლა ავღანეთიდან, ასევე შარშან ახლო აღმოსავლეთიდან თუ გამოიწვევს ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებასა და ცვლილებებს გლობალურ დონეზე?

– მაკედონელიდან დაწყებული, ყველა ცდილობდა, თავის სასარგებლოდ მოეხდინა ავღანეთის ოკუპაცია, თავისი გეოსტრატეგიული იდეები გაევრცელებინა და ავღანეთის ტერიტორიით ესარგებლა. მეტ-ნაკლებად ეს მოახერხა ალექსანდრე მაკედონელმა, რომელიც დაქორწინდა ერთ-ერთი დიდი ავღანური კლანის ასულზე. ამით მეტ-ნაკლებად მოახერხა მათი კეთილდღეობის მოპოვება.

მაკედონელმა საერთო ლაშქარიც შექმნა და ინდოეთი ერთობლივი ძალებით დალაშქრა. სანამ ცოცხალი გახლდათ, ურთიერთობა აწყობილი იყო, მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ეს იმპერია დაიშალა. ყველა დიდმა იმპერიამ, რომლებიც ავღანეთში შევიდნენ, კისერი მოიტეხა. ზოგს გეოპოლიტიკური ინტერესი ჰქონდა, ზოგს – რელიგიური, ზოგს – ფინანსური, ზოგს –კომუნისტური, მაგრამ ყველამ კისერი წაიტეხა.

ახლა ამერიკის ბოლო ვოიაჟი, რომ ტერორისტებს გაანადგურებდა და დემოკრატიის ოაზისს დაამყარებდა, სრული კაპიტულაციით დასრულდა და ბანკროტი განიცადა. ვერც ტერორიზმი აღმოფხვრეს და ვერც ისეთი იდეოლოგიური სისტემით ჩაანაცვლეს, რომელიც ასეთ ვითარებაშია აუცილებელი.

პირიქით, იდეოლოგიურად კიდევ უფრო დიდი კატასტროფა იყო, რადგან ვერ უზრუნველყო თალიბანის, ბენ ლადენისა და ისლამური სახელმწიფოს, ანუ ე.წ. ხალიფატის ნაკრების განეიტრალება, ახალი დემოკრატიული ღირებულებებითა და „იდეალებით“ ჩანაცვლება მოინდომა და სრული ფიასკო განიცადა. ამის გაკეთება თვითონ საქართველოში (და ისეთ ქვეყნებშიც) ვერ მოახერხა, სადაც ამერიკული დემოკრატიული, ფუნდამენტური ფასეულობების მიმართ აბსოლუტური თანხვედრაა.

როდესაც ეს იღებს იდეოლოგიურ, ხელოვნურ, თავს მოხვეულ, ძალადობრივ აქცენტებს – ე.წ. სექსუალური უმცირესობა იქნება თავს მოხვეული თუ სხვა ფსევდოფასეულობები? – ეს სრულ კატასტროფას იწვევს. ამით აქ სარგებლობენ ე.წ. ლობისტები, ადგილობრივი 1%-იანი არასამთავრობოები და ცდილობენ, მოსახლეობას უკარნახონ თავიანთი ნება, რაც მხოლოდ დოლარების სიყვარულზეა აგებული.

უნდა სცოდნოდათ, რომ ისეთ ჩამორჩენილ, არადასავლურ ქვეყანაში, როგორიც ავღანეთია, ეს დიდ კატასტროფას გამოიწვევდა და სრული კოლაფსით დამთავრდებოდა. შედეგები კატასტროფული იყო, რამაც გამოიწვია არმიის ჯერ იდეოლოგიური, ხოლო შემდეგ სამხედრო კაპიტულაცია.

ტრილიონები დაიხარჯა ამ მავნე ფასეულობისთვის. ეს იყო დასავლური ფასეულობების დისკრედიტაცია. ვაშინგტონიდან და დიდი ამერიკელი მამებიდან მოყოლებული, კაცობრიობის ფუნდამენტური მონაპოვრის იგნორირება და ნიველირება ხდება. დღევანდელი პოლიტიკა ვითომ დგას ვაშინგტონსა და ფრანკლინზე, სინამდვილეში დასავლური ფასეულობების დისკრედიტაცია ხდება, მდიდრდებიან ლობისტები, რომლებიც მავნე პროექტებს უჭერენ მხარეს. ადგილობრივი ე.წ. სამხედრო და პოლიტიკური ელიტა საერთოდ გაირყვნა.

– 300 ათასი სამხედრო იყო გაწვრთნილი და, როცა თალიბები შევიდნენ, მთელი თანამედროვე სამხედრო შეიარაღება ჩაუვარდათ ხელში. შეიძლება, გამიზნულიც იყო გარკვეულ პერიოდში ამერიკელებთან თანამშრომლობა, ჯარის გაწვრთნა და შეიარაღების ხელში ჩაგდება. სად უნდა წასულიყო 300 ათასი ჯარისკაცი, თუ ის კარგად გაწვრთნილი და იდეებზე ორიენტირებული იყო?

– იქ არის მხოლოდ ფულისა და მამონას კულტი. საგანგაშო ისაა, რომ მოსახლეობის უმრავლესობა პროცესს თვალყურს ადევნებდა 20 წლის განმავლობაში და, მიუხედავად თალიბების მიერ ჩადენილი მხეცობებისა მოსახლეობის, ქალთა სქესის მიმართ (ბუდას ქანდაკების აფეთქება), როდესაც ყველანაირი კონვენცია და მუსლიმანური იდეებიც იქნა დარღვეული, ძალიან საშიშ ძალას, ნაცვლად იმისა, რომ ებრძოლა სამხედრო-პოლიტიკური და იდეოლოგიური თვალსაზრისით, მაინც მხარი დაუჭირა.

– თალიბანის მოსვლა ავღანეთის ხელისუფლებაში მხოლოდ ლოკალურ პრობლემებს შექმნის თუ უახლოეს სივრცეშიც პრობლემები ექნებათ? შეიძლება, შუა აზიასა და რუსეთს პრობლემები შეექმნათ?

– თალიბანი ჩაისახა მაშინ, როდესაც პაკისტანს უნდოდა, ინდოეთისთვის დიდი პრობლემები შეექმნა. ჩამოყალიბდა, მომძლავრდა, მიმართულება იცვალა და რუსების წინააღმდეგ ომში ჩაება. რუსები გავიდნენ და იქ ბუშის ადმინისტრაცია შევიდა. გადაეწყო თავისი ისლამური გადმოსახედით, ფასეულობებით და ჯიჰადის სახე მიიღო დასავლეთის წინააღმდეგ.

ეს არის დენთით სავსე კასრი, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება აფეთქდეს და პრობლემა შეუქმნას მსოფლიოს ყველა იმ სახელმწიფოს, რომელსაც სუსტი მმართველობა აქვს. ეგენი ჩეჩნეთშიც იბრძოდნენ, სირიაშიც, იორდანიაშიც და ყველა ცხელ წერტილშიც. სხვათა შორის, ბოსნია-ჰერცეგოვინაშიც იბრძოდნენ, იქაც კი შექმნეს პრობლემები. მათ არ აქვთ საზღვარი, სახელმწიფოებრივი ხედვა. მათი ერთადერთი კრიტერიუმია მუსლიმანური იდეების დაცვა და ხალიფატის იდეის რეალიზაცია, განსხვავებით პაკისტანისა და ირანის ადმინისტრაციისაგან, რომლებსაც ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი ხედვა აქვთ და ქაოტურ მოქმედებებს არ ექვემდებარებიან, არ შედიან სიღრმეებსა და სივრცეებში.

– გლობალური მოვლენები ყოველთვის ახდენდა გავლენას საქართველოს მდგომარეობაზე. ავღანეთის მოვლენებმა რა გავლენა შეიძლება იყოს უარყოფითი და რა – დადებითი, თუ თალიბები, ვთქვათ, რუსეთს შეებრძოლებიან?

– ეს არის სპონტანური ჯგუფი, რომელიც მზად არის, ნებისმიერ ვარიანტში დიდი მსხვერპლის ფასად იბრძოლოს, რადგან ძალიან დიდი მოტივაცია აქვს. ავღანეთში ამერიკელების გამოსვლა მოინათლა ჯვაროსნებზე გამარჯვებად. ამ შეფასებას არ ვეთანხმები, რადგან დღევანდელი დასავლეთის ძალებსა და მაშინდელ ძალებს შორის განსხვავებაა. მაშინ იყვნენ რიჩარდ ლომგული, მეფე ბოლდუინი და თუნდაც აღმაშენებელი, რომელიც ძალიან მჭიდროდ თანამშრომლობდა მასთან. მე ვლაპარაკობ იდეურ ქრისტიანებსა და ჯვაროსნებზე და არა კრიმინალებსა და ბანდიტებზე. ჯვაროსნები სხვანი იყვნენ, განსხვავებით ამ ბანდიტებისაგან. მაშინ იქ მმართველი, ხალიფატის უფროსი სალადინი იყო, განსხვავებით ამ ბანდიტებისაგან, რომელიც კეთილშობილი ადამიანი გახლდათ.

ამერიკელების ავღანეთიდან გამოსვლას ისტორიულ აქტს უწოდებენ. ესეც გასათვალისწინებელია, რადგან, რაც უფრო დიდია მონაპოვარი, მით უფრო დიდია გზნება, თუნდაც პათოლოგიური შთაგონებები და, გარკვეულწილად, ირაციონალური მოქმედებები.

ამიტომ საქართველოში ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ეგენი დაიწყებენ ომს ტაჯიკეთის მიმართულებით, რადგან თვისტომები იქ არიან, რელიგიური მომენტი დიდია. ტაჯიკეთის, თურქმენეთის, უზბეკეთის მოსახლეობაში მიაჩნიათ, რომ ისინი მართლა ჯვაროსნების დამამარცხებლები არიან. გამოკითხვა რომ ჩაატარო, 99% ამას გეტყვით. ამიტომ ძალიან ნოყიერი ნიადაგია და, ბუნებრივია, ეს მოხდება. დროის საკითხია.

ამიტომ ამერიკელებთან ფუნდამენტურად დასალაპარაკებელია. საქართველოში ძალიან მყარ, ეროვნულ-სულიერ, მემარჯვენე, ულტრათანამედროვე კონსერვატულ ძალას უნდა ელაპარაკოს, რომელმაც უნდა იცოდეს ზღვარი, რას დათმობს და რას – არა სტრატეგიულად და, შესაბამისად, ტაქტიკურად. ასეთ ძალებთან უნდა ითანამშრომლონ და არა თავს მოხვეულ, გასაცოდავებულ ფსევდოიდეოლოგიის მქონე ძალასთან, რომელიც ყველგან კრახს განიცდის.

– როდესაც ამბობთ, ნოყიერი ნიადაგი იქმნება რუსეთთან მოლაპარაკებებისთვისო...

– იდეაში ასეა.

– ანუ ახლო აღმოსავლეთსა და ავღანეთში შექმნილი სიტუაცია და მისი თანმდევი პროცესები ისეთ ვითარებას ქმნის, რომ რუსეთი აფხაზეთისა და ცხინვალის მიმართულებით დათმობაზე წავა?

– დიახ. რუსეთს არჩევანის პრობლემა დაუდგება, სად უფრო მეტს დაკარგავს, სად უფრო მეტი საშიშროებაა, რომელი პროექტის განხორციელება თუ განუხორციელებლობა მოუტანს შედეგებს, აიწონ-დაიწონება, პროგრამაში სქემატურად და ყველანაირად განსაზღვრული იქნება და, შესაბამისად, გადაწყვეტს. ეს უნდა გააკეთოს იმ ხელისუფლებამ, რომელიც კი არ ივაჭრებს, პოლიტიკაში დარჩენა კი არ იქნება მისი სტრატეგია, არამედ მხოლოდ – ტაქტიკური მომენტი.

არჩევნების შემდეგ რა მოხდება, ცოტა რთული სათქმელია, თუმცა იდეა ძალიან დიდია. ეს უნდა გააკეთოს ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ, რომელსაც ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ მაღალი ლეგიტიმაცია ექნება, რუსეთთან და ამერიკასთან თანაბრად დაილაპარაკებს და მარიონეტის როლში არ იქნება. მხოლოდ ამ შემთხვევაში ექნება შედეგი ამ ისტორიულ პროცესებს და ჩვენ სასარგებლოდაა, თუ გამოვიყენებთ.

პანკისში დაკავებულები კორპუსის საქართველოში აფეთქებას აპირებდნენ?

სასამართლომ 5 პირს პატიმრობა შეუფარდა

პროკურორ გიორგი ხაჩიძის განცხადებით, მიმდინარეობს გამოძიება, სად აპირებდნენ კორპუსის აფეთქებას ისლამური სახელმწიფოს წევრობის ბრალდებით პანკისში დაკავებული პირები, თუმცა არ გამორიცხავს, რომ ისინი კორპუსის აფეთქებას საქართველოში აპირებდნენ. ამის შესახებ პროკურორმა ჟურნალისტებს თბილისის საქალაქო სასამართლოში განუცხადა, სადაც აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე დაკავებულების პროცესი დახურულ რეჟიმში გაიმართა.

ამასთან, როგორც პროკურორმა განმარტა, გამოძიება ტარდება ბრალდებულების ბათუმში ყოფნასთან დაკავშირებით.

– არსებობდა მიმალვის და ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხეები, აქედან გამომდინარე, ყველა ბრალდებულს პატიმრობა შეეფარდა. რაც შეეხება სხდომის დახურვის მოტივს, საქმე სპეციფიურობიდან გამომდინარე საკმაოდ მოცულობითია, ბევრი მოწმეა დაკითხული მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე და მათი გასაჯაროება, მათი ვინაობის გასაჯაროება ამ ეტაპზე მიზანშეწონილი არ იქნებოდა. ამ ეტაპზე, ასევე მიმდინარეობს სხვადასხვა საგამოძიებო მოქმედებები, ბუნებრივია, შესაძლოა გამოიკვეთონ სხვა, პასუხისგებაში მისაცემი პირები. რაც შეეხება ბრალდებულების პოზიციას, მათ დააფიქსირეს პოზიცია, რომ ისინი გირაოს ითხოვდნენ, რაც სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული, – განაცხადა ხაჩიძემ.

რაც შეეხება ბრალდებულების მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობას, პროკურორი განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ისინი დუმილის უფლებას იყენებენ.

გარდა ამისა, პროკურორმა უპასუხა ჟურნალისტის კითხვას, რატომ დევს აღნიშნულ საქმეში „მთავარი არხის“ დირექტორის ნიკა გვარამიას ბრიფინგი ჟურნალისტ გიორგი გაბუნიას ლიკვიდაციასთან დაკავშირებით.

– ეს მტკიცებულებად არ დევს მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს ინფორმაცია სუს-ს არ გადაუცია ადვოკატისთვის. დაცვის მხარეს მტკიცებულება გამოძიებამ გადასცა, – განაცხადა გიორგი ხაჩიძემ.

26 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლომ ისლამური სახელმწიფოს წევრობის ბრალდებით პანკისში დაკავებულ 5 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. მოსამართლემ გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და ხუთივე ბრალდებულს პატიმრობა შეუფარდა. პროცესს თვითონ ბრალდებულებიც ესწრებოდნენ.

სასამართლოს სხდომის დახურვის შუამდგომლობით მიმართა ბრალდების მხარემ, რასაც არ იზიარებდა დაცვის მხარე. პროცესის ღია რეჟიმში წარმართვის მომხრე იყვნენ თვითონ ბრალდებულებიც. საბოლოო ჯამში, მოსამართლე ლაშა კლდიაშვილმა გაიზიარა პროკურატურის შუამდგომლობა და სხდომა დაიხურა. მოტივად კი საქმის მასალები და ქვეყნის ინტერესები დასახელდა.

ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის ფაქტზე დაკავებულ ხუთივე პირს: უ.ც.-ს, მ.მ.-ს, რ.ქ.-ს, ჰ.ბ.-ს და რ.მ.-ს ბრალდება 25 აგვისტოს წარედგინა.

საქართველოს პროკურატურის ინფორმაციით, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ უ.ც.-მ, რომელიც იყო გაერთიანებული უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციაში „ისლამური სახელმწიფო“, ამავე ორგანიზაციაში გაანევრიანა მ.მ., რ.ქ., ჰ.ბ., რ.მ. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული პირები სირიაში წასვლას და „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში საბრძოლველად მონაწილეობას გეგმავდნენ.

„სამართალდამცველებმა ხუთივე პირი 24 აგვისტოს დააკავეს. მ.მ.-ს, რ.ქ.-ს, ჰ.ბ.-ს და რ.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილით (ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. უ.ც.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 328-ე მუხლით (უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანება და ტერორისტულ საქმიანობაში მისი დახმარება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 10-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

ადვოკატ ანა ლილუაშვილის განცხადებით, პანკისში დაკავებულ 5 პირს პოზიცია არ შეუცვლია და ისინი დანაშაულს არ აღიარებენ. როგორც ადვოკატმა განმარტა, ის დაკავებული ხუთი პირიდან ორს – მაგომედ მაჩალიკაშვილსა და იუსუფ ცათიაშვილს – იცავს.

– ხუთი დაკავებული პირიდან ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი არის ორი, მათ სასამართლო სხდომაზე საკუთარი პოზიცია არ შეუცვლიათ. უშუალოდ, როგორც ბრალის წარდგენის დროს აფიქსირებდნენ პოზიციას დანაშაული არაღიარებასთან დაკავშირებით, იგივე პოზიციას ინარჩუნებენ. სასამართლო სხდომაზე აღნიშნულთან დაკავშირებით პოზიცია არ დაუფიქსირებიათ, იქიდან გამომდინარე, რომ ეს იყო აღკვეთის ღონისძიების სხდომა, სადაც სასამართლო არ ინტერესდება მოცემულ მომენტში პირი ცნობს თუ არა თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში.

დაცვის მხარე ვითხოვდით გირაოს შეფარდებას დაკავებულებისთვის, რა თქმა უნდა, ჩვენთვის მიუღებელი იყო აღკვეთის ღონისძიების მიზნები, თუმცა სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა გაიზიარა, – აცხადებს ანა ლილუაშვილი.

საბურთალოზე ბიძამ დისშვილი დაჭრა

26 აგვისტოს საბურთალოზე მდებარე ერთ-ერთ კორპუსში ოჯახური კონფლიქტი მოხდა, რომლის დროსაც ბიძამ საკუთარი დისშვილი, 17-18 წლის ახალგაზრდა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით დაჭრა.

თვითმხილველების ინფორმაციით, ახალგაზრდა ეზოში ყვირილით გამოვარდა და შველას ითხოვდა. ადგილზე გამოიძახეს სასწრაფოს ბრიგადაც.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

პოლიციამ ფაქტზე 1 პირი დააკავა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის არასრულწლოვნების საქმეთა მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1984 წელს დაბადებული ვ.ჩ. წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების ბრალდებით თბილისში დააკავეს.

დანაშაული 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 26 აგვისტოს, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანება მიაყენა თავის დის არასრულწლოვან შვილს, 2003 წელს დაბადებულ ნ.ფ.-ს.

პოლიციამ ვ.ჩ. ცხელ კვალზე დააკავა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 120-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც ოჯახის წევრის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქ დაზიანებას გულისხმობს.

ზურაბ ზვიადაური კლინიკაში გადაიყვანეს

26 აგვისტოს ზურაბ ზვიადაური კლინიკაში გადაიყვანეს,

ოლიმპიური ჩემპიონი თოდუას კლინიკიდან 2-საათიანი კვლევების შემდეგ ე.წ. მატროსოვის ციხეში დააბრუნეს. როგორც ცნობილია, მას ხერხემალი აწუხებს და, არ არის გამორიცხული, მისი ჰოსპიტალიზაცია მოხდეს.

კლინიკაში იმყოფებოდნენ ზურაბ ზვიადაურის ოჯახის ახლობლები და მისი ადვოკატი. როგორც მისი უფლებადამცველი ამბობს, ზურაბ ზვიადაურს ხერხემლის პრობლემა დიდი ხანია აწუხებს. მას რამდენიმე ოპერაცია უკვე ჩაუტარდა. მისივე თქმით, არ არის გამორიცხული, კვლევების შემდეგ მას ქირურგიული ჩარევა კიდევ ერთხელ დასჭირდეს.

9 აგვისტოს წინანდლის ტყეში მომხდარი სისხლიანი გარჩევის საქმეზე, ზურაბ ზვიადაური დააკავეს. თელავის სასამართლომ მას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა. გადაწყვეტილება ადვოკატებმა გაასაჩივრეს, თუმცა სააპელაციო სასამართლომ ადვოკატების შუამდგომლობა არ მიიღო.

საქმეზე წარდგენილ ბრალს ზვიადაური არ აღიარებს.

რუსთავში განზრახ მკვლელობის ფაქტზე 24 წლის ქალს ბრალდება წარედგინა



საქართველოს პროკურატურამ რუსთავში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე დ.ჯ.-ს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს.

უწყების ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დ.ჯ. იმავე დღეს რუსთავში დააკავეს. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) წარედგინა, რაც სასჯელის სახით 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 24 აგვისტოს, რუსთავში, 24 წლის ქალმა, დ.ჯ.-მ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე წარმოქმნილი ფიზიკური კონფლიქტის დროს შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით მეზობელს ა.პ.-ს ბლაგვი საგნით თავის არეში რამდენიმე დაზიანება მიაყენა. მიღებული დაზიანების შედეგად ა.პ. ადგილზე გარდაიცვალა.

პროკურატურის შუამდგომლობის საფუძველზე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ დ.ჯ.-ს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეუფარდა“, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

კომუნიკაციების კომისიამ 7 ტელეარხს სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინა

საზოგადოებრივი აზრის კვლევის კანონდარღვევით გაშუქების გამო „საზოგადოებრივ მაუწყებელს“, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიას, „იმედს“, ტელეკომპანია „პირველს“, „ფორმულას“, „რუსთავი 2“-სა და „სტუდია მაესტროს“ სამართალდარღვევის ოქმი შეუდგინეს.

ამის შესახებ კომუნიკაციების კომისია იუწყება.

წინასაარჩევნო მედიამონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ აღნიშნულმა მაუწყებლებმა 23 აგვისტოს პარტია „ქართული ოცნების“ მიერ გამოქვეყნებული საზოგადოებრივი აზრის კვლევა კანონდარღვევით გააშუქეს. კერძოდ, მაუწყებლების მიერ დაირღვა „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, რომლის მიხედვითაც არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნებისას

მაუწყებელი ვალდებულია მიუთითოს კვლევის თარიღი, გამოკითხვის მეთოდი, გამოკითხვაში გამოყენებული კითხვების ზუსტი ფორმულირება და შესაძლო ცდომილების ფარგლები, – ნათქვამია კომუნიკაციების კომისიის განცხადებაში.

კომუნიკაციების კომისიის ინფორმაციითვე, კანონმდებლობის აღნიშნული ვალდებულება შვიდივე მედიასაშუალების მიერ დაირღვა, რის საფუძველზეც შედგა სამართალდარღვევის ოქმები და განსახილველად სასამართლოს წარედგინა.

ფინანსურმა პოლიციამ უაქციზო სიგარეტი ამოიღო

დაკავებულია 2 პირი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარისა და გურიის სამმართველოს თანამშრომლებმა, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვისა და გადაზიდვის, ასევე განსაკუთრებით დიდი ოდენობით მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე შენახვის ფაქტზე ორი პირი დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთმა დაკავებულმა, შემდგომი გასაღების მიზნით, შეიძინა და საკუთარ საცხოვრებელ ბინაში დაასაწყობა განსაკუთრებით დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტი, რომლის ნაწილის რეალიზაციისთვის გადაზიდვა განახორციელეს მეორე ბრალდებულის მართვის ქვეშ მყოფი ავტოსატრანსპორტო საშუალებით.

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად ამოღებულ იქნა სარეალიზაციოდ განკუთვნილი 4.497 კოლოფი უაქციზო სიგარეტი, რომლის საბაზრო ღირებულება 19.700 ლარს აღემატება.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 6-დან 8 წლამდე ვადით.

ოთარ ნაცვლიშვილი გათხოვილი ქალისთვის მესიჯის გაგზავნისთვის თავში დაჭრეს

საგარეჯოს რაიონის სოფელ ბადიაურში ახალგაზრდა კაცი სანადირო თოფიდან გასროლით დაჭრეს.

კაცს დაზიანებები თავის არეში აქვს მიყენებული.

სოფელ ბადიაურში ორ მამაკაცს შორის ჩხუბი მას შემდეგ დაიწყო, რაც ქალის ქმარი იმ შეტყობინების შინაარსს გაეცნო, რომელიც დაჭრილმა ქალს გაუგზავნა. „პირველებს“ ადგილზე უყვებიან, რომ ოთარ ნაცვლიშვილს იარაღიდან ახალგაზრდა ქალის მაზლმა ესროლა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადამ დაშავებული საგარეჯოს „ჯეოჰოსპიტალსის“ კლინიკაში მოათავსა.

პაციენტს ქირურგიული ოპერაცია ჩაუტარდა. მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა.

დანაშაულში ეჭვმიტანილი პოლიციამ უკვე დააკავა. საქმეზე დაწყებულია გამოძიება.

საბერძნეთის ციხეში გელა უმიკიშვილმა თავი ჩამოიხრჩო

საბერძნეთში 56 წლის ქალის მკვლელობაში ბრალდებულმა ქართველმა მამაკაცმა გელა უმიკიშვილმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

ამის შესახებ ინფორმაციას ბერძნული მედია ავრცელებს.

ადგილობრივი პრესის ცნობით, 48 წლის ქართველმა ბრალდებულმა წინასწარი დაკავების იზოლატორში თავი ჩამოიხრჩო.

საბერძნეთის ქალაქ სალონიკში საქართველოს მოქალაქე, 56 წლის ქალი, ორი დღის წინ მოკლეს. მეგობარმა მამაკაცმა ის საცხოვრებელ სახლში ჯერ ცემა, შემდეგ კი ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა.

ბერძენმა სამართალდამცველებმა მკვლელობაში ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში ქალაქის სხვა უბანში დააკავეს.

თალიბანმა ავღანეთში მუსიკა აკრძალა

თალიბანის ახალი მმართველობის პირობებში მუსიკა კვლავ აკრძალული იქნება.

ამის შესახებ თალიბების პრესსპიკერმა ზაბიჰულა მუჯაჰიდმა ნიუ იორკ ტაიმსთან ინტერვიუში განაცხადა.

– ისლამი კრძალავს მუსიკას. ვიმედოვნებთ, რომ ადამიანებს არა ვაიძულებთ, არამედ დავარწმუნებთ, რომ არ გააკეთონ ის, რაც აკრძალულია, – აღნიშნა ზაბიჰულა მუჯაჰიდმა.

მუჯაჰიდმა ასევე განაცხადა, რომ ქალების უსაფრთხოების საკითხებზე შფოთვა უსაფუძვლოა. მისი თქმით, ქალებს არ დაავალდებულებენ, დარჩნენ სახლში ან პირისახე ყოველთვის დაიფარონ. ამასთან, მისი განმარტებით, მოთხოვნა, რომ ქალს თან ახლდეს მამაკაცი, გავრცელდება მხოლოდ სამდღიანი ან უფრო ხანგრძლივი მოგზაურობისას.

მუჯაჰიდმა ორი დღის წინ ავღანელი ქალები გააფრთხილა, რომ დარჩნენ სახლში მანამ, სანამ არ შეიქმნება შესაბამისი სისტემები მათი დაცვის უზრუნველსაყოფად.

– ჩვენი ძალები, რომლებიც ახალბედები და ჯერ კარგად განვრთნილები არ არიან, შეიძლება, ქალებს ცუდად მოექცნენ, – აღნიშნა მუჯაჰიდმა.

1990-იან წლებში, თალიბანის მმართველობის დროს, მუსიკა, ტელევიზია და კინო მეტწილად მკაცრად იყო აკრძალული.

ბაიდენის რეიტინგი დაეცა

ავღანეთში თალიბების გამარჯვებამ, განსაკუთრებით კი ლტოლვილთა ევაკუაციამ, პრეზიდენტ ბაიდენის რეიტინგის ვარდნა გამოიწვია.

თუ თალიბების გამარჯვებამდე მას მხარს 60% უჭერდა, ახლა ეს მაჩვენებელი 41%-მდე დაეცა.

ავღანეთში ბაიდენის პოლიტიკით ამერიკელთა 57% უკმაყოფილოა.

მონტენეგროში სიზარმაცეში შეჯიბრება დაიწყო

მონტენეგროს ეთნოსოფელ ბრეზნაში ყოველწლიური ღია შეჯიბრება დაიწყო სიზარმაცეში.

აღსანიშნავია, რომ ტრადიციული შეჯიბრება უკვე მეათედ იმართება და მასში მონაწილეობენ არა მხოლოდ მონტენეგროელები, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც.

წესების თანახმად, მონაწილეები ერთდროულად უნდა დაწვნენ ზეწარზე ან ქვეშაგებზე და რაც შეიძლება დიდხანს არ უნდა წამოდგნენ. ამავე დროს, შეჯიბრების მონაწილეებს შეუძლიათ ჭამონ, დალიონ, დაიძინონ და რაიმე იკითხონ, ამასთან, ტუალეტში გასვლა რვა საათში მხოლოდ ერთხელაა ნებადართული.

შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის პრიზად 300 ევროა გამოყოფილი. 2018 წელს დამყარდა რეკორდი – მონტენეგროს სამმა მოქალაქემ წოლის 49 საათის შემდეგ გადაწყვიტა, ყველაზე ზარმაცის ტიტული ერთმანეთში გაიანაწილებინათ.

ბელეგიანი დათვი მარტოხელა ტურისტს თავს დაესხა

ამერიკის ალასკის შტატის დენალის ეროვნულ შეკვეთილში დათვი გრიზლი სქელი ნისლიდან მოულოდნელად გამოვარდა და ტურისტს თავს დაესხა.

55 წლის ტურისტი ამერიკის ინდიანას შტატიდან, რომლის ვინაობა უცნობია, სქელ ნისლში მარტო მიდიოდა. მოულოდნელად ბუჩქებიდან რამდენიმე ბელის თანხლებით ძუ დათვის გამოვარდა.

ტურისტმა რამდენიმე დაზიანება მიიღო მარცხენა ფერდისა და მხრის არეში. მან სპრეის ამოღება მოასწრო, რომელიც დათვების მოსაგერიებლად გამოიყენება და მტაცებელს შეასხურა, შედეგად გარეული ცხოველების მოგერიება მოახერხა, რის შემდეგაც დაუხმარებლად შეძლო კილომეტრ-ნახევრის გავლა ტურისტულ ცენტრამდე, სადაც საჭირო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მსოფლიოში კორონავირუსის ვაქცინების 5 მილიარდზე მეტი დოზა გამოიყენეს

მსოფლიოს 183 ქვეყანაში კორონავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინების გამოყენებული დოზების რაოდენობამ 5 მილიარდს გადააჭარბა.

დღეში 37.4 მილიონი ადამიანი იცრება.

ამ დროისთვის მსოფლიოში გამოყენებული ვაქცინები მოსახლეობის 33%-ის სრულად ვაქცინირებისთვისაა საკმარისი. ყველაზე მეტი, 1.97 მილიარდი დოზა, ჩინეთში გამოიყენეს. ინდოეთში გამოყენებული ვაქცინების დოზების რაოდენობამ კი 595 მილიონს გადააჭარბა. ევროკავშირში ვაქცინების 522 მილიონზე მეტი დოზა გამოიყენეს, აშშ-ში კი – 364 მილიონი.

ამ დროისათვის ორივე დოზით ევროკავშირში სრულად ვაქცინირებულია მოსახლეობის 57.7%, აშშ-ში – 51.7%, ჩინეთში კი – 55.5%.

ტერაქტი ქაბულის აეროპორტთან

26 აგვისტოს ქაბულის აეროპორტთან განხორციელებული თავდასხმის დროს მინიმუმ 11 ადამიანი დაიღუპა. დაღუპულთა შორის არიან ქალები და ბავშვები. დაშავდნენ თალიბანის დაცვის წარმომადგენლები.

თვითმკვლელმა ტერორისტმა თავი ხალხში აიფეთქა, პარალელურად კი მეორე თავდამსხმელმა ცეცხლი გახსნა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ესპანეთის სანაპიროზე ოთხი ტონა მკვდარი თევზი გამოირიყა

ესპანეთის მურსიის პროვინციის მარ მენორის ლაგუნას სანაპიროზე ტონობით მკვდარი თევზი გამოირიყა.

ადგილობრივები და ეკოლოგები გააოგნა მკვდარი თევზების რაოდენობამ, რომლებიც სანაპიროზე ახლახან გამოირიყა. ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემის ინფორმაციით, 16 აგვისტოდან მოყოლებული, პლაჟებიდან უკვე 4,5 ტონა მკვდარი თევზი გაიტანეს.

ხელისუფლება ვარაუდობს, რომ თევზების მასობრივი დაღუპვა მაღალმა ტემპერატურამ და შედეგად გაუსაძლისმა სიცხემ გამოიწვია. და ეს იმ დროს, როდესაც მეცნიერები ამტკიცებენ, რომ ამ ყოველივეს მიზეზი ოკეანის დაბინძურებაა, რაც ფერმერული მეურნეობების ნარჩენების ჩაყრითაა გამოწვეული. მათ გამო წყალში იწყებენ აყვავებას წყალმცენარეები, რომლებიც, თავის მხრივ, მზის სინათლეს ბლოკავენ და წყალში ჟანგბადის შემცველობას ამცირებენ, ამის გამო კი იხოცებიან თევზები და წყლის სხვა ბინადრები.

დელფინებმა გადაარჩინეს მამაკაცი, რომელმაც 12 საათი ყინულიან წყალში გაატარა

ირლანდიის ყურე ტრალიში დელფინებმა გადაარჩინეს მამაკაცი, რომელმაც 12 საათი ყინულიან წყალში გაატარა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რომელიც ფეისბუქში სამაშველო სამსახურის გვერდზე გამოქვეყნდა, სანაპირო დაცვამ მაშველების დახმარება მას შემდეგ მოითხოვა, რაც პლაჟზე მოცურავის ტანსაცმელი იპოვეს.

მამაკაცის დასახმარებლად სამაშველო ნავი გაემართა. მოგვიანებით სამძებრო სამუშაოებში ჩაერთვნენ შვეულმფრენები. დაახლოებით 30 წლის ირლანდიელი სანაპიროდან ოთხ კილომეტრში აღმოაჩინეს, ეს კი მისი ცურვის დაწყებიდან 12 საათის შემდეგ მოხდა. მოცურავეს გარს დელფინები ეხვეოდნენ.

მამაკაცი პოვნის დროს სრულ გონებაზე იმყოფებოდა. ის წყლიდან ამოიყვანეს და ხმელეთზე გადაიყვანეს, სადაც სასწრაფო დახმარების ექიმებმა გასინჯეს. ირლანდიელი არაქათგამოცლილი და გადაციებული იყო. მას მხოლოდ მოკლე საცურაო ტრუსი ეცვა. გადარჩენილმა განაცხადა, რომ ნაპირიდან რვა კილომეტრის გაცურვა ცადა, მაგრამ ამისთვის მოუმზადებელი აღმოჩნდა. საბოლოოდ ის საავადმყოფოში გადაიყვანეს.

სამაშველო ჯგუფი მიიჩნევს, რომ მამაკაცს გადარჩენაში დელფინების გუნდი დაეხმარა, ხოლო მაშველმა ჯეკი მერფიმ ირლანდიელის გადარჩენას სასწაული უწოდა. მაშველებს მამაკაცის აღმოჩენაში სწორედ დელფინები დაეხმარნენ, რომლებიც მის გარშემო დაცურავდნენ და მტაცებლების თავდასხმისგან იცავდნენ.

ქალი ეკონომიის მიზნით საკვებსა და ტუალეტის ქაღალდს არ ყიდულობს

აშშ-ის ქალაქ ნიუ იორკის მკვიდრმა ქალმა, რომელიც ბუღალტრად მუშაობს, ეკონომიის მიზნით უარი თქვა ტუალეტის ქაღალდის ყიდვაზე.

კეიტ ხაშიმოტო უკვე სამი წელია, ნიუ იორკში ცხოვრობს და ბუღალტრად მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ ნიუ იორკი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე ძვირ ქალაქად ითვლება, ქალი თვეში მხოლოდ 200 დოლარს ხარჯავს და ეს მაშინ, როდესაც ამ ქალაქში თვეში ცხოვრება, ბინის ქირის გაუთვალისწინებლად, საშუალოდ 1,3 ათასი დოლარი ჯდება.

ხაშიმოტოს თქმით, მას ფულის ხარჯვა არ უყვარს და ყოველთვის ცდილობს, რაც შეიძლება ნაკლები დახარჯოს. მაგალითად, მას 1998 წლის შემდეგ აღარ შეუძენია საცვლები, ასევე უარი თქვა ტუალეტის ქაღალდის გამოყენებაზე.

ქალი თვალს ადევნებს ცნობებს ფასდაკლებებზე და ცდილობს, მონაწილეობა მიიღოს მარკეტინგულ აქციებსა და უფასო საქონლის დარიგებაში. ის ინახავს საზოგადოებრივ ტუალეტებში უკვე გამოყენებულ ხელსახოცებს, რათა ისინი განმეორებით გამოიყენოს.

ხაშიმოტო არასდროს იხდის ფულს ავეჯში. ის მათ ქუჩაში პოულობს. საწოლი იოგასთვის განკუთვნილი ხალიჩებისგან აქვს გაკეთებული, ხოლო სასადილო მაგიდად ჟურნალების შეკვრებს იყენებს. ქალი არც კერძებს ამზადებს, რათა გაზსა და ელექტრობაზე ფული არ დახარჯოს.

ხაშიმოტო არც საკვებ პროდუქტებს ყიდულობს. ის მათ კაფეებისა და სუპერმარკეტების მახლობლად მდებარე ნაგვის ბუნკერებიდან იღებს. ტანსაცმელს არ რეცხავს და შხაპს ტანსაცმელში გამოწყობილი იღებს.

სპორტი

რონალდუმ სიტის გახედა

საფეხბურთო აგენტი ჟორჟ მენდეში ტურინში იმყოფება, რამაც ახალი სათავე დაუდო მოლაპარაკებებს მანჩესტერ სიტისა და ტურინის იუვენტუსის ფეხბურთელ კრიშტიანუ რონალდუს შორის.

მას შემდეგ, რაც ჰარი კეინი ტოტენჰემში დარჩა, სიტიმ საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ინგლისის ნაკრების კაპიტნის დამატებაზე და ახლა მთლიანად პორტუგალიელის ტრანსფერზე გადაერთო.

თუმცა პრემიერლიგის ბინადრებმა ჯერ ტურინს ოფიციალური წინადადებით არ მიმართეს, რისი მიზეზიც ფინანსური საკითხებია. პეპს კრიშტიანუს დამატება უფასოდ სურს, რასაც იტალიური მხარე კატეგორიულად ეწინააღმდეგება.

ამიტომაც გაჩნდა გაცვლის ვარიანტი – იუვეს გაბრიელ ჟესუსის საკუთარ რიგებში ხილვა სურს და მზად არის, ბრაზილიელის სანაცვლოდ რონალდუ დათმოს.

მენდეში ხელმძღვანელობასთან კონსულტაციას გადის და პროცესი გარკვეულწილად უკვე დაწყებულია. ახლა სიტის ნებაზეა ბევრი რამ დამოკიდებული.

პორტუგალიელი ჟურნალისტი გონსალო ლოპესი იტყობინება, რომ ტრანსფერი გადაწყვეტილია და რონალდუმ ბრიტანულ გრანდთან პირადი კონტრაქტის დეტალები უკვე შეათანხმა. ლოპესის თქმით, კრიშტიანუ ხვდება, რომ მისთვის სიტი საუკეთესო ვარიანტია.

ჟურნალისტის ცნობით, რონალდუ პეპ გვარდიოლას უკვე გაესაუბრა და ახლა ყველაფერი იუვენტუსისა და კრიშტიანუს აგენტის ჟორჟე მენდეშის ხელშია. პორტუგალიელ ფეხბურთელს სიტიში გადასვლის პერსპექტივა მანჩესტერ იუნაიტედში გატარებული წლების გამო არ ხიბლავდა, თუმცა მენდეშმა მისი დაყოლიება მოახერხა.

ფეხბურთი

25 აგვისტო
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

შახტარი-მონაკო	2:2 (დდ)
ბრონდბიუ-ზალცბურგი	1:2
დინამო (ზ)-შერიფი	0:0

საფრანგეთი. ლიგა 2

აიაჩო-კაენი	2:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

14 წლის ბიჭმა საკუთარი სიცოცხლის ფასად მეგობარი დახრჩობას გადაარჩინა

14 წლის ლოგან ფოლჯერმა საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა მეგობარი, რომელიც დერბიშირის საგრაფოს მაღაროელთა ქალაქ სტეივლიში ჩესტერფილდის არხში იხრჩობოდა.

ფოლჯერი ორ მეგობართან ერთად არხში ბანაობდა, როდესაც ერთ-ერთმა წყალში ჩაძირვა დაიწყო. მოზარდი შეეცადა, მეგობარს დახმარებოდა, მაგრამ წყლის ქვეშ თავად აღმოჩნდა. შემთხვევის ადგილზე მივიდნენ დერბიშირის სასწრაფო დახმარებისა და სახანძრო სამსახურის თანამშრომლები. მათ მოზარდი წყლიდან ამოიყვანეს და საავადმყოფოში გადაიყვანეს.

ინგლისელი მოზარდი სამი დღე იბრძოდა სიცოცხლისთვის, მაგრამ საბოლოოდ შაბათს, 20 აგვისტოს, გარდაიცვალა.

– საშინელებაა, რომ იძულებულები ვართ, ამ ზაფხულს წყალში კიდევ ერთი დაღუპულის თაობაზე გავაკეთოთ განცხადება. ეს კიდევ ერთი შეხსენებაა იმისა, თუ რამდენად სახიფათო შეიძლება იყოს წყალსატევები ფარული წყალქვეშა დინების ან შიგ ჩაყრილი ნაგვის, ასევე წყლის დაბალი ტემპერატურის გამო, – განაცხადა სამაშველო ჯგუფის ხელმძღვანელმა ლი უილიამსმა.

ესპანეთი საქართველოსთვის დაირაზმა — ლუის ენრიკემ შემადგენლობა დაასახელა

5 სექტემბერს საქართველოს ნაკრები ბადახოსში ესპანეთს ესტუმრება და მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩს ითამაშებს.

ესპანელთა თავკაცმა ლუის ენრიკემ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ჩვენი გუნდის გარდა 2 სექტემბერს შვედეთთან (შინ) და 8 სექტემბერს კოსოვოსთან (სტუმრად) თამაშებისთვის მოემზადება.

ენრიკეს სიაში კვლავ არ არიან მადრიდის რეალის ფეხბურთელები. ასევე არ არიან პედრი (ბარსელონა), დანი ოლმო (ლაიპციგი), პაუ ტორესი (ვილიარეალი) და მიკელ ოიარსაბალი (სოსიედადი). ესენი ის ფეხბურთელები არიან, რომლებმაც ევროპის ჩემპიონატზე და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მიიღეს მონაწილეობა.

ლუის ენრიკეს რჩეულთა სია ასე გამოიყურება:

მეკარეები: უნაი სიმონი (ბილბაო), დავიდ დე ხეა (მანჩესტერი, ინგლისი), რობერტ სანჩესი (ბრაიტონი, ინგლისი);

მცველები: ჟორდი ალბა, ერიკ გარსია (ორივე ბარსელონა), ხოსე გაია (ვალენსია), სესარ ასპილიკუეტა (ჩელსი), მარკოს ლორენტე (ატლეტიკო), ემერიკ ლაპორტი (სიტი, ინგლისი), ინიგო მარტინესი (ბილბაო), რაულ ალბიოლი (ვილიარეალი);

ნახევარმცველები: სერხიო ბუსკეტსი (ბარსელონა), როდრი (სიტი, ინგლისი), კოკე (ატლეტიკო), მიკელ მერინო (სოსიედადი), კარლოს სოლერი (ვალენსია), ბრაის მენდესი (სელტა);

თავდამსხმელები: პაბლო ფორნალსი (ვესტ ჰემი, ინგლისი), ენცო სარაბია (პსჟ, საფრანგეთი), ფერან ტორესი (სიტი, ინგლისი), ადამა ტრაორე (ვულვზი, ინგლისი), ალვარო მორატა (იუვენტუსი, იტალია), ჟერარდ მორენო (ვილიარეალი), აბელ რუისი (ბრაგა, პორტუგალია).

ბრიტანელები ხვიჩა კვარაცხელიას აფასებენ

ქართველი ფეხბურთელის ხვიჩა კვარაცხელიას სატრანსფერო ამბები ჩიხშია შესული. ყაზანის რუბინს, როგორც ჩანს, არ სურს ქართველი ფეხბურთელის გაყიდვა და საკმაოდ ძვირად აფასებს. ადრე გავრცელებული რამდენიმე გუნდის დაინტერესებისგან კვარაცხელიას მსურველთა რიგებს მხოლოდ ბრიტანული ტოტენჰემი შემორჩა და ისიც მხოლოდ ინტერესის სფეროში, კონკრეტული წინადადება კი არ ჩანს.

გავრცელდა ის ხმებიც, რომ ხვიჩამ თავად კლუბს რეალური ფასის დადება მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გუნდში არ ითამაშებდა. ალბათ ამის გამოა, რომ კლუბმა კვარაცხელია განაცხადიდან ამოიღო. ეს არცთუ კარგი ამბავია – რუსულმა კლუბმა, შესაძლოა, ჩვენებური სულაც პრაქტიკის გარეშე დატოვოს.

ამასობაში, ბრიტანულმა მედიამ ქართველი ფეხბურთელის შესახებ საინტერესო სტატია გამოაქვეყნა, სადაც საუბარია იმაზე, თუ რა შეიძლება შესძინოს ქართველმა გარემარბმა ინგლისის პრემიერლიგასა და ისეთ კლუბებს, როგორებიც ლიდსი და ტოტენჰემი არიან.

აი, რას წერენ ბრიტანელები:

– ხვიჩა, ძირითადად, მარცხენა ფლანგზე თამაშობს. კვარაცხელიას უყვარს დაცვაში ჩამოსვლა და მოწინააღმდეგისთვის ბურთის ართმევა, შემდეგ კი წინ გაიჭრება, სივრცეს იპოვის და საგოლე შანსის შექმნას ცდილობს.

როცა კვარაცხელია ბურთს იღებს და წინ მიიწევს, მეტოქის მცველებში სრული პანიკა იწყება. ფეხბურთელი ცდილობს, რამდენიმე მოწინააღმდეგე თავისთან ახლოს მიიყვანოს და შემდეგ ფინტებით ერთიანად ჩამოიტოვოს.

თუკი კარგად დავაკვირდებით მის თამაშს, აღმოვაჩენთ, რომ კვარაცხელია საგოლე შანსებს უფრო მეტად მაშინ ქმნის, როცა მარცხენა ფრთიდან ცენტრისკენ შეიჭრება და კარისკენ გაიხედავს. მცველებში მოქცეული კვარაცხელია ერთგვარად „კრუიფის ფინტით“ მათგან ერთიანად თავის დაღწევას ახერხებს და შეტევასაც აგრძელებს.

ქართველი გარემარბი დრიბლინგებით მოწინააღმდეგეებს იოლად იშორებს და, შესაბამისად, ფორვარდის არეალში მოთამაშე თანაგუნდელი საგოლე პოზიციაზე იოლად გაჰყავს.

კვარაცხელიას შეუძლია, თავისი წარმატებული დრიბლინგებით კიდევ უფრო მეტი საგოლე შანსი შექმნას, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში ცივსისხლიანობა აკლია და საგოლე მომენტების უკეთ გამოყენება მართებს. სწორ მწვრთნელთან მუშაობით შეუძლია, ამ მიმართულებით დაიხვეწოს. კვარაცხელიას მეტი შემოქმედებითი თავისუფლება და წინა ხაზზე უკეთესი პარტნიორები სჭირდება.

ხვიჩა ჯერ 20 წლისაა და ამიტომ სრულფასოვანი ფეხბურთელი ვერ იქნება, მაგრამ ბევრად მაღალი დონის ლიგაში ასპარეზობა ნამდვილად შეუძლია. ის უაღრესად ნიჭიერია და, როცა მცველებს სისწრაფითა და ცრუ მოძრაობებით სცდება, მისი გაჩერება ძალიან რთული ხდება. მიუხედავად იმისა, რომ ყოველივე ამის ცქერა სასიამოვნოა, მაინც რჩება განცდა, რომ ხვიჩა მეტოქის თითოეული მცველის ზედმეტად ბევრჯერ გაბითურებას ცდილობს.

ბათუმის დინამო ირაკლი აზაროვის ტრანსფერზე ტრაბზონს ევაჭრება

თურქული მედიის ცნობით, საქართველოს ნაკრებისა და ბათუმის დინამოს ფეხბურთელ ირაკლი აზაროვით ტრაბზონსფორია დაინტერესებული და კლუბებს შორის ტრანსფერზე მოლაპარაკება მიმდინარეობს.

როგორც ირკვევა, ტრაბზონი 19 წლის მცველის სანაცვლოდ 450.000 ევროს გადახდას აპირებს, პლუს, ზღვისპირულ კლუბს მისი მომდევნო ტრანსფერიდან 30%-ს გადაუხდის.

თითქოს ურიგო წინადადება არ ჩანს, მაგრამ დინამო უარზეა და ტრაბზონს სატრანსფერო თანხად 1 მილიონი ევრო უთხრეს.

ტრაბზონის გარდა, აზაროვის გადაბირება ზაგრების დინამოს, ბრიუგეს, კრასნოდარსა და კვიპროსულ პაფოსს სურთ.

19 წლის აზაროვი ბათუმელია, მაგრამ თბილისის დინამოს აღზრდილია, ზღვისპირულ კლუბს კი ზამთარში შეუერთდა. აზაროვი ეროვნული ლიგის ერთ-ერთი გამორჩეულ ფეხბურთელია და საქართველოს ეროვნულ გუნდში სადებიუტო მატჩიც ჩაატარა. გარდა ამისა, დინამოელთა შემადგენლობაში შესანიშნავად ითამაშა კონფერენციის ლიგაზე, რომლის შემდეგ მის მიმართ ინტერესმა იმატა.

ირაკლი აზაროვს ბათუმურ კლუბთან კონტრაქტი 2022 წლის 31 დეკემბრამდე აკავშირებს.

ბოლქვაძის მოგება და გორგოძის მარცხი ამერიკის ღია პირველობაზე

30 აგვისტოს წლის ბოლო დიდი სლემის ტურნირი იწყება – ამერიკის ღია პირველობა, რომელშიც მონაწილეობას ქართველი ჩოგბურთელი ნიკოლოზ ბასილაშვილიც მიიღებს. ძირითად ბადეში თამაშის უფლების მოსაპოვებლად კიდევ ორი ქართველი ჩოგბურთელი იბრძოდა – მარიამ ბოლქვაძე და ეკატერინე გორგოძე.

ბოლქვაძემ პირველი საკვალიფიკაციო რაუნდი უკვე გადალახა – ჩვენებურმა უკრაინელ დარია სნიგურს 3 სეტში 7:5; 4:6; 6:4 სძლია.

ბოლქვაძე მომდევნო შეხვედრას დიდი ბრიტანეთის წარმომადგენელ ემა რადუკანუსთან გამართავს.

გორგოძემ კი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში იტალიელ ლუკრეცია სტეფანინისთან ვერაფერი გააწყო და სამ სეტში ანგარიშით 3:6 6:3 0:6 დამარცხდა.

შეხვედრა თითქმის საათს გაგრძელდა. 2 სეტის შემდეგ სრულიად თანაბარი თამაში იყო, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში გორგოძემ გეიმიც კი ვერ მოიგო.

გეტყვით იმასაც, რომ ამერიკის ღია პირველობის ძირითად ბადეში ნიკოლოზ ბასილაშვილიც იასპარეზებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო განცხადებები

მარინე, ზურაბ და თემურ მჟავია ოჯახებით იუწყებიან დედის

ნელი ბაქრაძე-მჟავიას

გარდაცვალებას.

გამოსვენება კვირას, 29 აგვისტოს, ბინიდან, 14 საათზე. დ. წყნეთი, აფხაზეთის ქ. 14

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მთავრობა ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ბატონი თეიმურაზ მჟავიას დედა, ქალბატონი

ნელი ბაქრაძე-მჟავია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

კორნელი ჯორბენაძის ხსოვნას

ჩემი ბიძაშვილი კორნელი 29 აგვისტოს 75 წლის გახდებოდა. პირობა მივეცი, რომ აუცილებლად ჩავიდოდი ფოთში და ერთად აღვნიშნავდით მისი დაბადების დღის იუბილეს, მაგრამ აღნიშვნა ცალ-ცალკე მოგვიწევს. სამოთხეში მის დაბადების დღეს ჩვენ ვერ დავესწრებით. ძალიან მენატრება მისი დინჯი და დამაჯერებელი საუბარი. მის ახლობლებს გვიყვარდა, გვიყვარს და გვეყვარება კორნელი მანამ, სანამ მასთან არ მივალთ. ჩვენ თითქმის ერთად გავიზარდეთ და მისგან არც ბავშვობაში, არც ყმაწვილკაცობაში და არც ხანშიშესულობისას არ მახსოვს არანაირი წყენა. იგი პირდაპირი იყო, მაგრამ მოზომილი. ნათელში იყოს მისი სული და დალოცოს ყველა, ვინც უყვარდა და ვის დატოვებასაც წუხდა.

მამიდაშვილი მზია ჩაჩავა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ღია ცის ქვეშ მოწყობილი ეთნოგრაფიული მუზეუმის სახელწოდება ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 2. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი გერმანული ფირმა; 3. წვრილმანებით ხელზე მოვაჭრე ძველ თბილისში; 4. ირანის პარლამენტი; 5. ქალის სასიმღერო ხმა; 10. ცოცხლადმშობი თევზი; 11. კბილის ამოღების ოპერაცია; 12. რაიონული ცენტრი კახეთში; 15. საქართველოში მოღვაწე გერმანელი მხატვარი, თბილისის სამხატვრო აკადემიის ერთ-ერთი დამფუძნებელი; 16. ბრაზილიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. ადმინისტრაციული ორგანო სახელმწიფოში; 20. ძილის მომგვრელი საშუალება.

თარაზულად: 6. ჟურნალისტთა ოფიციალური დაშვება რაიმე ღონისძიებაზე; 7. გერმანული ღუდი; 8. შოტლანდიელთა მეორე სახელწოდება; 9. მოხსენების, ლექციის მოკლედ ჩამოყალიბებული ძირითადი დებულება; 13. ლობიოს მსგავსი პარკოსანი მცენარე; 14. შენიშვნა, განმარტება ტექსტში; 18. საერთაშორისო სისხლის სამართლის სამძებრო პოლიცია; 19. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 21. პოპულარული ნიდერლანდური ყველი; 22. ზღვაში შეჭრილი ხმელეთის ვიწრო ზოლი; 23. სატრფოსადმი მიძღვნილი პატარა ლირიკული ლექსი სალონურ პოეზიაში; 24. დეკორაციული ფერწერა, რომელშიც გამოყენებულია მხოლოდ ორი ფერი – ღია და მუქი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ჭომა; 2. ფრეზა; 3. დაიმი; 5. შულერი; 6. ნაკაშიძე; 9. მუჯურეთული; 10. საიათნოვა; 11. ინფანტინო; 14. ერა; 16. სალაჰი; 18. იგლუ.

თარაზულად: 1. ჭორფლი; 4. აფშერონი; 7. ტეხასი; 8. მაკბეტი; 12. იჯაფარა; 13. ფერაძე; 15. საფარა; 17. უთო; 19. კრიპტოგრამა; 20. ციცქა; 21. ჯუღელი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. დომკრატი; 2. თრთვილი; 3. აბული; 4. დარბაზი; 5. ალიგოტე; 10. ჩოქბჯენი; 11. რეტროგრადი; 12. ისტვუდი; 15. ტრიპლექსი; 16. აგუერო; 17. ჩამპინო; 21. კიურე.

თარაზულად: 6. ტოლერანტობა; 7. ბაზალტი; 8. არიფანა; 9. ხახული; 13. წეკო; 14. ჰენესი; 18. კვირინალე; 19. ქართუ; 21. ხიხვი; 22. ტოშიბა; 23. პორტვეინი; 24. შპინდელი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

27 აგვისტო

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.1288

ევრო
— 3.6842

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.3002

100 რუსული
რუბლი
— 4.2270

ამინდის პროგნოზი 27 აგვისტოსათვის

უსმან დემბელე კონტრაქტის გაფორმებასთან ახლოს არის

უსმან დემბელე, დიდი ალბათობით, ბარსელონასთან ახალ კონტრაქტს ხელს მოაწერს და ეს უახლოეს დღეებში მოხდება. დემბელე ბარსელონასთან 4-წლიან ხელშეკრულებას გააფორმებს, რომლის მიხედვითაც მისი ანაზღაურება შემცირდება, რაც ბარსელონაში არსებული ფინანსური კრიზისით არის გამოწვეული.

დემბელეს თქმით, ის მზად არის, ბარსელონის წინადადებას დასთანხმდეს.

ამჟამად დემბელეს ტრავმა აქვს და მკურნალობას განაგრძობს.

რეალი მბაპეს შეძენას არ ჩქარობს



მადრიდის რეალი ჯერჯერობით კილიან მბაპეს შეძენას არ ჩქარობს, რადგან მისი ტრანსფერი გუნდს 180 მილიონი დაუჯდება, მომავალ წელს კი მბაპე თავისუფალი აგენტი იქნება. მეორე მხრივ, შესაძლებელია, რომ მბაპემ წასვლა გადაიფიქროს და პსჟ-სთან კონტრაქტი გააფორმოს და ამ შემთხვევაში რეალი მშრალზე დარჩება.

მბაპეს შეძენით ლივერპულიც არის დაინტერესებული.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

სპილოს ქანდაკება თანამოძმე მეტოქე ეგონა და თავს დაესხა

ტაილანდის ეროვნულ პარკ კხაუიაიში სპილომ თანამოძმის ქანდაკება მდედრისთვის ბრძოლაში მეტოქედ მიიჩნია და თავს დაესხა.

პარკის დამთვალიერებლების თვალწინ მამრი სპილო თავს დაესხა პარკის შესასვლელში აღმართულ სპილოს ფიგურას და გადააყირავა, მას შემდეგ კი, რაც ქვის თანამოძმისგან წინააღმდეგობას ვერ წააწყდა, გატრიალდა და საკვების მოსაძებნად გაეშურა. ამ ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა.

პარკის წარმომადგენელმა პლე შრიჩაიმ განმარტა, რომ სპილოები ხშირად ებრძვიან ერთმანეთს მდედრის ყურადღების მისაპყრობად.

– შესაძლოა, მან ქანდაკება კონკურენტად მიიჩნია და გადაწყვიტა, მისთვის საკუთარი უპირატესობა დაემტკიცებინა, – განაცხადა შრიჩაიმ.

მსგავსი გაუგებრობის განმეორებით თავიდან ასაცილებლად სპილოს ქანდაკება სხვა ტერიტორიაზე გადაიტანეს.

იუმორი

ცოლი ქმარს ეუბნება:

– შენ სამუდამო სიყვარულს შემპირდი!...

– ძვირფასო, სამუდამო არ ნიშნავს შეუსვენებელს...

●●●

პატარა ბავშვი უყურებს, მღვდელი როგორ აჭედებს ჯურსმანს ჩაქუჩით. დედამ შენიშნა და ბავშვს ეკითხება:

– შვილო, რატომ უყურებ ასე თვალმოუშორებლად, სწავლობ?

– არა, ის მაინტერესებს, ჩაქუჩს თითში რომ ჩაირტყამს, როგორ შეიგინება.

●●●

ახლადმოსულ სიდედრს სიძე ეკითხება:

– როდემდე აპირებ ჩვენთან დარჩენას?

– როცა მოგბეზრდები, წავალ.

– საჭმელი მაინც გეჭამა, მშიერი ხომ არ წახვალ.

ერთი მეზობელი მეორეს ეკითხება:

– დღეს ბურღი გჭირდება?

– ჰო, მთელი დღე.

– ძალიან კარგი, მაშინ ერთი დღით ანკესი მათხოვე, სათევზაოდ მივდივარ.

●●●

შვილიშვილი პაპას ეკითხება:

– პაპა, საინტერესო ცხოვრება გქონდა?

– ჰო, შვილო. ძალიან საინტერესო. სიბერეში გასახსენებელი ნამდვილად მაქვს.

– მაშინ, გაიხსენე რამე.

– შვილო, გახსენებით ვერ ვიხსენებ, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ გასახსენებელი მაქვს.

●●●

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– დავიღალე, ძალიან დავიღალე...

– რას აკეთებდი?

– დავრბოდი, ბევრი ვირბინე, შემდეგ კიდევ ეს სექსი...

– აჰა, ე.ი. დაგეწივნენ...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ხათუნა ჟორდანიამ სიმსივნე დაამარცხა

მომღერალმა ხათუნა ჟორდანიამ სიმსივნე დაამარცხა. იგი მეუღლე ზურა ხაჩიძესთან ერთად თურქეთში აჩიბადემის კლინიკაში იმყოფება.

– მადლობა უფალს ყველაფრისთვის, – დაწერა სოციალურ ქსელში ზურა ხაჩიძემ და მრავალ მილოცვასა და საუკეთესო სურვილებთან ერთად ცნობისმოყვარეებს აუწყა, რომ ხათუნას ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ყველაფერი კარგად არის. მომღერალმა საყვარელ მეუღლეზე ლოცვისთვის ყველას გულითადი მადლობა გადაუხადა.

ზინა კვერენჩხილაძის დაბადების დღე მცხეთის დედათა მონასტერში აღინიშნა

მსახიობ ზინა კვერენჩხილაძის დაბადების დღე მცხეთის დედათა მონასტერში, მის საფლავთან აღინიშნა.

პანდემიის გამო ხელოვანის დაბადების დღეზე მხოლოდ 5 ადამიანი შეიკრიბა. მცხეთის დედა მონასტრის სასაფლაოზე უკვე 10 წელია, განისვენებს შესანიშნავი მსახიობი და საქართველოს სახალხო არტისტი.

უხუცესმა კინომცოდნემ, პროფესორმა გოგი დოლიძემ დაამკვიდრა ტრადიცია, რომ ზინა კვერენჩხილაძის დაბადების დღე მის საფლავზე აღინიშნოს.

– პანდემიის გამო წელს შესანიშნავი მსახიობისა და მოქალაქის, საქართველოს სახალხო არტისტის ზინა კვერენჩხილაძის დაბადების დღე მხოლოდ 5-მა ადამიანმა აღვნიშნეთ. 2 სტუმარი ზესტაფონიდან საგანგებოდ ჩამოვიდა, სამნი კი თბილისიდან ჩავედით და პატივი მივაგეთ ჩვენს საყვარელ მსახიობს, – განაცხადა გოგი დოლიძემ.

რობერტ სტურუა: „პატრიარქს იქნებ ახლა მაინც დავუჯეროთ!“

რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი, რეჟისორი რობერტ სტურუა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა– თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის ნათქვამს გვახსენებს:

– ქართველ ნეობოლშევიკებს, უზრდელ და აი, ძალიან, აი, ძაან თამამ კაენ-ათეისტებს აღარაფერი ეშველებათ – გინებით აავსებენ ღვთის სახლს!

ჩვენ კი, უბრალოდ, გავიხსენოთ – ალბათ გახსოვთ:

გვითხრა ნოემბერში პატრიარქმა, ხილვა ვნახე, ევროპა ცარიელია და ქალაქებს კლიტე ადევსო? ვიფიქრეთ, ამეტებსო? აგერ, ბატონო!

გვითხრა, ემიგრანტებო, ჩქარა დაბრუნდით, მალე გამოქცევა მოგიწევთო? გვეგონა, რომ ამეტებდა? აგერ, ბატონო!

გვითხრა, დაიბანეთ სხეული და ხელები, ჭიგიენა ისწავლეთო? აღვშფოთდით, ეს რა რჩევააო? აგერ, ბატონო!

გვითხრა, ნუ მიატოვებთ კარ-მიდამოებს სოფლებში, ბევრად მალე დაგჭირდებათ, ვიდრე გგონიათო? აგერ, ბატონო!

გვითხრა, ვეზიაროთ და კვირაობით მაინც ვიაროთ ტაძარშიო? ე, ბიჭო! იქნებ ამაშიც მართალია ეს კაცი!

გვითხრა, რომ მის სიცოცხლეშივე გამთლიანდება საქართველო? ე, ბიჭო, იქნებ სახელმწიფოც ამ მიმართულებით ავამუშაოთ!

გვითხრა, რომ ყველა განსაცდელი ჩაივლის და სიხარულით შეიცვლებაო.

ე, ბიჭო, იქნებ ახლა მაინც დავუჯეროთ!

პრინცმა ჰარიმ და მეგან მარკლმა ასიათასობით მომხრე დაკარგეს

სასექსის ჰერცოგმა და ჰერცოგინიამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ასიათასობით თაყვანისმცემელი დაკარგეს.

ინსტაგრამში პრინც ჰარისა და მისი მეუღლის მეგან მარკლის გვერდზე ბოლო ერთ წელიწადში საკუთარი ხელმოწერები 700 ათასზე მეტმა ადამიანმა გააუქმა. ამჟამად მათი ხელმომწერების რაოდენობა 10,1 მილიონს შეადგენს. ამავე დროში პრინც უილიამისა და მისი მეუღლის კეიტ მიდლტონის გვერდის ხელმომწერთა რაოდენობა მილიონით გაიზარდა და ახლა მათ 13 მილიონი ხელმომწერი ჰყავთ.

ინსტაგრამში დედოფალ ელისაბედ II-ის გვერდის ხელმომწერთა რაოდენობა ამავე პერიოდში 1,3 მილიონით გაიზარდა და 10,3 მილიონს მიაღწია.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ქრისტინე იმედაძემ ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ქრისტინე იმედაძემ ახალი სიმღერა ჩაწერა და მასზე ვიდეოკლიპიც გადაიღო.

– ვინმემ არ გაიგოს, ჩუ! – ასე ჰქვია სიმღერას, რომლის ავტორიც მაიკო კაჭკაჭიშვილია. სიმღერის ტექსტზე ქრისტინემ და მაიკომ ერთობლივად იმუშავეს. მომღერლის ახალი ნამუშევრის მუსიკალური პროდიუსერობა ბორიკო შხიანმა ითავა, ხმის მასტერინგი კი – ალეკო ბერძენიშვილმა.

ენერგიულ ქართულენოვან სიმღერაზე ფერადი კლიპი ქრისტინე იმედაძეს იაკობ ბრეგვაძემ გადაუღო. მომღერალმა თავისი ახალი ნამუშევარი ინტერნეტით წარუდგინა გულშემატკივარს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ასტროპროგნოზი

27 აგვისტოსათვის

ვერძი – უსარგებლო კავშირები სასწრაფოდ გაწყვიტეთ. ბიზნესში ნუ იაქტიურებთ. **კურო** – ეცადეთ, საკუთარ ხასიათში კორექტივები შეიტანოთ. დაკავდით სპორტით. **ტყუპები** – ნურავის მიენდობით. დიდია ცრუ დაპირებებისა და მოტყუების ალბათობა. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სინდისის ხმას მოუსმინეთ და ისე იმოქმედეთ. საღამო საოჯახო საქმეების მოგვარებას დაუთმეთ. **ლომი** – საოჯახო საქმეები მოაწესრიგეთ და მხოლოდ ამის შემდეგ იზრუნეთ სხვებზე. **ქალწული** – მშვიდი და პასიური დღეა. ეცადეთ, წარსულში დაშვებული შეცდომები გამოასწოროთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ღრიანკალი** – ბევრს თქვენი დახმარება სჭირდება. პრიორიტეტების მიხედვით იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – დღის პირველ ნახევარში ბევრი საქმე გექნებათ, მაგრამ დაბრკოლებებს იოლად გადალახავთ. საღამოს გავლენიანი მფარველი გამოგიჩნდებათ **თხის რქა** – საქმიანი აქტივობა არასასურველია. ყველანაირად ხელი შეგეშლებათ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისთვის მეგობრებს მიმართეთ. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციები წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროც გაგიჩნდეთ. **თევზები** – ბედი გწყალობთ. დაივიწყეთ ყოველგვარი უსიამოვნება და დატკბით ცხოვრებით.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ↄ



შვეულად: 1. ბანგლადეშის დედაქალაქი; 2. ჩქარტემპიანი ჩეხური ცეკვა; 3. წყალსა და წებოში გახსნილი სახატავი საღებავი; 5. იტალიელი კინოვარსკვლავი ქალი; 6. პატარა სამხედრო საავადმყოფო; 9. ქართველი მშვილდოსანი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი; 10. სვანური ლირიკული სიმღერა; 11. ძველებური ცხენებშებმული მრავალადგილიანი სამგზავრო-საფოსტო კარეტა; 14. ბრიტანელი დრამატურგი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 16. ცის უმაღლესი წარმოსახვითი წერტილი; 18. ეგრისის მთავარი მეექვსე საუკუნეში.

თარაზულად: 1. მდინარე კიევში; 4. გონებასუსტი ადამიანი; 7. საქართველოში გავრცელებული წითელ წიგნში შეტანილი ძალზე მაგარმერქნიანი ფოთლოვანი ხე; 8. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 12. ყოველდღიური გაზეთი იაპონიაში; 13. მილიონის ძველი ქართული სახელწოდება; 15. ფრანგული პური; 17. ტბა აშშ-კანადის საზღვარზე; 19. მდინარე მადრიდში; 20. უდიდესი შემოქმედებითი ნიჭი; 21. ისტორიული ქართული სამეფო აღმოსავლეთ საქართველოში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა